# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 ნოემბერი, 2012 წელი.

№210 (7086)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## საქართველოში ჩამოსული „მუმიები“ და „ნაციონალებისგან“ მართული დევნილები

4



## სერგო თეთრაძის საქმის გამოძიება ახალი ხელისუფლების პრესტიჟის საქმეა

3

## ალასანიას მძიმე მემკვიდრეობა

6

## როცა ისინი ტკბილად მღეროდნენ, ჩვენი სამშობლო მწარედ მოთქვამდა!..

5

ანუ რეჟიმთან მოფლირტავენი თვალში კვლავაც ნაცრის შეყრას ვერ უნდა გვიბედავდნენ!






## თარგამაძისა და უდალცოვის კავშირი დაადასტურეს სამხედრო კომპრომატებმა

8




## რას ელის ხალხი ახალი მთავრობისგან?

9



## საარსებო მინიმუმთან პენსიების მიახლოება მომავალ წელს დაიწყება

2

მთავრობა



# საარსებო მინიმუმთან პენსიების მიახლოება მომავალ წელს დაიწყება

**2013 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, — ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ბიუჯეტში სახსრები სერიოზულად გადანაწილდება და მოხმარდება ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელზეც მთავრობა საუბრობს.**

—ეს იქნება ჯანდაცვა, კერძოდ საყოველთაო დაზღვევა, ასევე პენსიების მოწესრიგება. მომავალ წელს დაიწყება პენსიების მიახლოება საარსებო მინიმუმთან. ეს ეხება ასევე განათლების სფეროს და გარდა ამისა, ბიუჯეტი გაზრდის სოფლის მეურნეობის დაფინანსებას, ალტერნატიული სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, —განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, შეუმცირდებათ თუ არა ძალოვან სტრუქტურებს დაფინანსება, ხადურმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ოპტიმიზაციაზე, არის გარკვეული ტიპის დანახარჯები, რომლებზეც სამუშაო შეხვედრები აქვთ თავიანთ კოლეგებთან, კერძოდ, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებთან.

ხადურის განცხადებით, პირველი მაგალითი იქნება ის, რომ ფინანსთა სამინისტრო შეამცირებს უწყების დაფინანსებას 10%-ით, კერძოდ, 10 მილიონი ლარით.

—ჩვენ აღარ ავაშენებთ ისეთი ტიპის დაწესებულებებს, რომლის არსებობა ამ წუთას აუცილებელი არ არის, —განაცხადა ხადურმა.

მანვე იმედი გამოთქვა, რომ ანალოგიურ წინადადებას დღეს და ხვალ წარადგენენ შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის მინისტრები. ამასთან, ნოდარ ხადურის განცხადებით, ეს არ ნიშნავს, რომ თანამშრომლებს ხელფასები შეუმცირდებათ.

მისი თქმით, იქნება საკადრო ცვლილებები, მაგრამ პროფესიონალებს არ დაითხოვენ სამსახურიდან. როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, 2013 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე კვირის ბოლოს მთავრობის სხდომაზე იმსჯელებენ.

## ახალი მთავრობის სხდომაზე ჟურნალისტებს მუშაობა კვლავ შეზღუდულ რეჟიმში უწევთ

**ჟურნალისტებს არ ეძლევათ XII სართულზე ასვლის საშუალება, სადაც მთავრობის სხდომა უნდა გაიმართოს. მედიის წარმომადგენლები III სართულზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში იმყოფებიან.**

ამასთან, მთავრობის პრესსამსახურის წარმომადგენლები პირობას დებენ, რომ ჟურნალისტებს მინისტრთა კაბინეტის მომდევნო სხდომაზე განსხვავებული პირობები ექნებათ.

მთავრობის სხდომებზე ჟურნალისტებისთვის შეზღუდვა ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს დაწესდა.

ინტერპრესნიუსი

მილოცვა

# ანგელა მერკელმა ბიძინა ივანიშვილს გაპრემიერება მიულოცა



**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ანგელა მერკელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვება და გაპრემიერება მიულოცა.**

ივანიშვილის პრესსამდივნის ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ მერკელის მიერ ივანიშვილისთვის გაგზავნილ წერილშია ნათქვამი.

**„საქართველოს მომავალშიც შეუძლია ჰქონდეს გერმანიის ფედერალური მთავრობის მხარდაჭერის იმედი დემოკრატიის შემდგომი გამყარების, საბაზრო ეკონომიკის, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის, რეგიონში სამეზობლო ურთიერთობების განვითარებისა და ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების გზაზე“,** — აღნიშნულია წერილში.

დანიშვნა

# საპატრულო პოლიციის ახალი ხელმძღვანელი

**საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დავით ცინარიძე უხელმძღვანელებს. ცინარიძე თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა.**



როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის ამოსავალი დირებულებები კანონიერება, სამართლიანობა და ჰუმანიზმი უნდა იყოს.

**„დავით ცინარიძე საპატრულო პოლიციაში ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებდა. ამ სამსახურის შექმნის საქმეში მას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის და დარწმუნებული ვარ, გააზრებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რასაც თანამდებობა აკისრებს“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პირველი დავალება ცინარიძესა და საპატრულო პოლიციის შემადგენლობას ღარიბაშვილმა საჯაროდ მისცა.

**„დარჩნენ შეურიგებელი ყოველგვარი უკანონობის გამოვლინებასთან, დაიცვან ჩვენი მოქალაქეების თავისუფლება და უსაფრთხოება. ქვეყანა უნდა ჩადგეს სტაბილური განვითარების კალაპოტში, უნდა დასრულდეს ის გამარჯვების ეიფორია, რომელიც არსებობდა. ვიცი, რომ იყო გარკვეული დემორალიზება და მოშვებულობა, მაგრამ ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს და პატრულმა უნდა გააგრძელოს ხალხის სამსახურში ყოფნა. არ უნდა დავუშვათ, რომ რაიმე ტიპის გართულებას ჰქონდეს ადგილი“,** — განაცხადა შს მინისტრმა და აღნიშნა, რომ საპატრულო პოლიციას ყოველთვის ჰქონდა და ექნება მისი მხარდაჭერა.

ცინარიძე 1997 წლიდან მუშაობდა გამომძიებლად, გარდა ამისა, იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის კონსულტანტი.

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მაია ხასია უხელმძღვანელებს

**მაია ხასია სხვადასხვა დროს სასჯელაღსრულების სისტემაში, იუსტიციის სამინისტროში და არასამთავრობო სექტორში მუშაობდა.**

იგი დავით ჭაკუას შეცვლის, რომელიც თანამდებობიდან პატიმართა წამების შესახებ კადრების შემდეგ გაანთავისუფლეს.

## თავდაცვის მინისტრმა მოადგილეები წარადგინა

**თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალსანიამ გუშინ სამი მოადგილის ვინაობა დაასახელა. ესენი არიან: ირაკლი გეგეჭკორი, ალექსანდრე ბურჭულაძე და ლევან დოლიძე. როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, პრემიერ-მინისტრმა მათი კანდიდატურები უკვე დაამტკიცა.**

ამასთან, ლევან დოლიძე პირველ მოადგილედ დაინიშნა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი იქნება.

ალექსანდრე ბურჭულაძე ფინანსურ საკითხებს გაუწევს კურირებას, ხოლო ირაკლი გეგეჭკორი — უსაფრთხოების საკითხებს.

პარლამენტი

# ექვსი დამოუკიდებელი დეპუტატი ფრაქციად რეგისტრირდება

**პარლამენტის ექვსი დამოუკიდებელი დეპუტატი საპარლამენტო ფრაქციად რეგისტრირდება. ახალი ფრაქციის — „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“, რომელსაც სათავეში ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი ჩაუდგება, რეგისტრაციის საკითხი გუშინ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა განიხილა. კომიტეტის დასკვნა პარლამენტის ბიუროს 5 ნოემბრის სხდომაზე წარედგინება.**

ხუთ მაჟორიტარულ ოლქში „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით გასულმა დეპუტატმა გოგი ლიპარტელიანმა, გოდერძი ბუკიამ, ენზელ მკოიანმა, კახა ოქრიაშვილმა და სერგო ხაბულიანმა უმცირესობაში გაერთიანებაზე უარი პარლამენტში შესვლისთანავე თქვეს. მათ რიგებს ორი დღის წინათ ოფიციალურად ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი გოზალიშვილიც შეუერთდა. გოზალიშვილის უმცირესობიდან წასვლით დამოუკიდებელ დეპუტატებს ფრაქციის შექმნის საშუალება მიეცათ.

პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, ფრაქციის რეგისტრაციისათვის, ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, სხვა ხელმძღვანელ პირთა და წევრთა ვინაობა. განცხადებას თან ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება. პარლამენტის თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაუყოვნებლივ გადასცემს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ეცნობება პარლამენტს უახლოეს პლენარულ სხდომაზე და გამოქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## ფინანსთა სამინისტროდან გაფლანგული თანხების საკითხს სამართალდამცავები შეისწავლიან



**საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური სამინისტროს მხრიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე საუბრობს.**

**როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ნოდარ ხადურმა განაცხადა, ძალიან ბევრი თანხაა გაფლანგული, თუმცა რაში იხარჯებოდა ასეულობით მილიონი ლარი, ამას პროკურატურა და შესაბამისი სამსახურები გამოიკვლევენ.**

**მისივე თქმით, დღეისთვის ხაზინის ანგარიშზე 260 მილიონი ლარია, გუშინ კი 33 მილიონი ლარის მობილიზება მოხდა, რაც, მისივე შეფასებით, კარგი მაჩვენებელია.**

ძალადობა

# ვინ ჩამოართვა მოსახლეობას მიწები ანაკლიაში?

**მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ანაკლიაში მიწების ჩამორთმევის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს მოუწოდებს, უახლოეს დღეებში პროკურატურას მიმართონ.**

**როგორც კბილაშვილმა განაცხადა, სხვა საქმეების მსგავსად, ამ საქმის გამოძიებაც დაიწყება.**

— ამ ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობ. საკადრო საკითხების გადასაწყვეტად ჩვენ ერთკვირიანი ტაიმაუტი გვაქვს აღებული. სამშაბათს, როცა ეს ერთი კვირა ამოიწურება, მე საქმეების გამოძიების დაწყების შესახებ გამოვაცხადებ. მანამდე კარგი იქნება, რომ ამ ადამიანებმა მოგვმართონ წართმევისა და დანაშაულის შესახებ, რათა წყარო ასეთი განაცხადი იყოს და არა ინტერნეტით გავრცელებული. პრინციპში ისიც წყაროა და პრობლემა არ არის, თუმცა, როდესაც განაცხადი ოფიციალურად შემოვა, ვალდებულები ვართ, მივიღოთ და მოკვლევა დავიწყოთ, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2009-2010 წლებში ხელისუფლების წარმომადგენლები ანაკლიაში მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, მიწის მესაკუთრეებზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში დაზარალებულები ღიად საუბრობენ მათზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე. მათი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების დაპატიმრებით ან სამსახურიდან დათხოვნით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დათმობდნენ ქონებას.




ერთ-ერთი დაზარალებული იმაზეც საუბრობს, თუ როგორ ჰპირდებოდა ზაზა გოროზია სახელმწიფოს მიერ უკვე ჩამორთმეული მიწის სანაცვლოდ მესაკუთრეს კომპენსაციის გადახდას ან ალტერნატიულ ნაკვეთს იმ ტერიტორიაზე, სადაც სასტუმრო „ანაკლია“ აშენდა.

უკანონობა

# სერგო თეთრაძის საქმის გამოძიება ახალი ხელისუფლების პრესტიჟის საქმეა

**ბუნდოვანებით მოცული დაპატიმრებები და მკვლელობები ბოლო რამდენიმე წელია, ქართული რეალობისთვის არც გამონაკლისია და არც იშვიათობა. ყოველი ასეთი გახმაურებული საქმე საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა, თუმცა ამას არ მოჰყვებოდა არც რეალური დამნაშავის მოძებნა და, მით უმეტეს, არც მისი დასჯა – ეს ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ სახელმწიფოს ინტერესებში არ შედიოდა. არც ის შედიოდა არავის ინტერესში, ამ დანაშაულების შესახებ ვინმეს შეეტყო და ოჯახის წევრებსა და ზოგჯერ ადვოკატებსაც კატეგორიულად უკრძალავდნენ მედიასთან ურთიერთობას.**

სამშობლოს ღალატში ეჭვმიტანილი ქართველი ოფიცრის სერგო თეთრაძის გარდაცვალების ბურუსით მოცული საქმეც ამ კატეგორიას მიეკუთვნება. არც ოჯახი და არც მისი ადვოკატი სერგო თეთრაძეზე საუბარს არ აპირებდა, მაგრამ ოჯახის ახლობლებმა შარშან ეს ამბავი მედიასა და პოლიტიკოსებს ერთგვარი პრევენციის მიზნით შეატყობინეს – თუ თეთრაძის მკვლელობის საქმე გახმაურდებოდა, შესაძლოა, სხვები მაინც გადარჩენილიყვნენ სიკვდილს.

სავარაუდოდ, სერგო თეთრაძესთან ერთად კიდევ სამი ადამიანი დააკავეს, თუმცა მათი ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. საქმეს გრიფით საიდუმლო ედო და ადვოკატებს ინფორმაციის გაუცემლობაზე მოაწერინეს ხელი.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ არაერთი აქცია გამართეს, არაერთი განცხადება გააკეთეს, მაგრამ იქამდე, ვიდრე ცნობილი ციხის კადრები გავრცელდებოდა, მკვლელობა ისეთივე ბურუსით მოცული იყო, როგორც ერთი წლის წინათ, თეთრაძის მკვლელობის მომენტში.

„თავისუფალი დემოკრატები“ აცხადებდნენ, რომ როგორც მათთვის იყო ცნობილი, თეთრაძე ჯაშუშობის ბრალდებით იყო დაკავებული და ის წამებით მოკლეს.

**ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა კიდეც, რომ ის აუცილებლად გაარკვევს, როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა გადამდგარი ოფიცერი.**

**სერგო თეთრაძე საბჭოთა შეიარაღებული ძალების ოფიცერი იყო, ავღანეთის შემდეგ თბილისში საინჟინრო ბაზაზე მსახურობდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის შემდეგ თეთრაძე მაშინვე გადავიდა ქართული არმიის რიგებში და იმავე საინჟინრო ბაზის მეთაური გახდა. იბრძოდა აფხაზეთში, სხვადასხვა დროს მუშაობდა საარტილერიო ბრიგადაში, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებში. სამხედრო დაზვერვისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი ოფიცერი სერგო თეთრაძე 2007 წლიდან აღარ მსახურობდა ჯარში. 57 წლის თეთრაძე ასაკის გამო დაითხოვეს. საკმაოდ მცირე პენსიის გამო ოჯახს ძალიან გაუჭირდა და ის იძულებული გახდა, დარაჯად ემუშავა.**

**აფხაზეთის ომის ვეტერანი და სამხედრო-საჰაერო ძალების გადამდგარი ოფიცერი სერგო თეთრაძე 2011 წლის 17 სექტემბერს, საკუთარ დაბადების დღეზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებმა საკუთარ სახლში დააკავეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.**

დაკავებულის ადგილსამყოფელი ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, ოჯახს არ უთხრეს არც დაკავების მოტივი. თეთრაძის წაყვანიდან რამდენიმე საათში მეუღლემ გამომძიებელს დაურეკა, რომელმაც უპასუხა, რომ მან არ იცოდა, სად იყო სერგო თეთრაძე და, რომ უფროსობას ჰყავდა ზევით აყვანილი. იმავე საღამოს ახლობლებმა თეთრაძეს ადვოკატი მიუყვანეს. თამარ იასეიშვილმა, თავდაცვის სამინისტროს შენობაში თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ნახვა მოახერხა და ოჯახს შეატყობინა, რომ სერგო საშინლად ნაცემი იყო.

მომხდარის შესახებ ინფორმაცია თეთრაძის ოჯახის ახლობლებმა მაშინვე გაუგზავნეს ქართულ მედიასაშუალებებს და პარტიებს.

**პროცედურის დარღვევით მიმდინარეობდა დაკავების მთელი ოპერაცია – თეთრაძესთან სახლში 6 სამხედრო პირი მივიდა. ბინაში ჩხრეკა მოწმეების გარეშე ჩატარდა. გამომძიებელმა გიორგი ხევსურმა ჩხრეკის ოქმში მიუთითა, რომ აღმოჩენილ იქნა გეოგრაფიული რუკები და წითელი „ფლეშკა“, თეთრაძემ რამდენჯერმე თქვა, რომ ეს „ფლეშკა“ მას არ ეკუთვნოდა და უცნობია, რა ინფორმაცია ინახებოდა მეხსიერების ბარათზე. როგორც შემდეგ გაირკვა, რუკები სერგო თეთრაძის სიდედრს, გეოგრაფიის ყოფილ მასწავლებელს ეკუთვნოდა და სწორედ მისი ოთახიდან ამოიღეს. თეთრაძის მეუღლეს ოქმისთვის ხელი არ მოუწერია, რადგან წითელი „ფლეშკა“ მათ არ ეკუთვნოდათ.**

**მეორე დღეს მეორე ჩხრეკაც უმოწმეებოდ ჩატარდა, ეზოში შევიდა დაახლოებით 15-20 კაცი, მათ ერთი სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული მამაკაცი ახლდათ, რომელიც უხეშად მიმართავდა ოჯახის წევრებს. ჯგუფის წევრები ერთმანეთში მეგრულად საუბრობდნენ, ნანა თეთრაძის თხოვნის მიუხედავად, მათ ქართულად არ დაილაპარაკეს. სარდაფში რაღაცას ეძებდნენ. ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს, წასვლისას, ერთ-ერთმა მათგანმა, მეზობლების თვალწინ ხელში ასწია ტომარა, გადმოაბრუნა და იქიდან გადმოვარდა ერთი მჭიდი ერთი ვაზნით.**

როგორც თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი თეა წულუკიანი მაშინვე აცხადებდა, ჩხრეკის ოქმზე სერგო თეთრაძის ან ოჯახის წევრის ხელმოწერა არ იყო და თუ ეს ხელმოწერა ამ განცხადების შემდეგ გაჩნდებოდა ოქმზე, იგი ყალბი იქნებოდა.

**მოკლედ, გამომძიებლებს გიორგი ხევსურსა და ზურაბ გოგიჩაიშვილს სერგო თეთრაძის დაკავებისას უამრავი შეცდომა „გაეპარათ“.**

**გარკვეული პერიოდის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სერგო თეთრაძე დაპატიმრების პირველი 24 საათის განმავლობაში უზნაძის ქუჩაზე სამინისტროს შენობაში ჰყავდათ „დაკითხვაზე“. ახლობლებმა, ეს ინფორმაცია შენობიდან გამოსული თვითმხილველისგან გაიგეს. შეიტყვეს, რომ სერგო თეთრაძეს თავზე პოლიეთილენის პარკი ჰქონდა ჩამოცმული და სასტიკად სცემდნენ.**

19 სექტემბერს თეთრაძის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დახურული სასამართლო სხდომა ჩატარდა. შემინული კარიდან ახლობლებმა შეძლეს სერგო თეთრაძის დანახვა. დაინახეს ისიც, რომ სერგოსთან ერთად კიდევ სამი კაცის საქმე იხილებოდა. მოგვიანებით მეუღლემ თქვა კიდეც, რომ სერგო მხოლოდ ჭაღარა თმებითღა იცნო, იმდენად იყო ფიზიკურად განადგურებული და შეცვლილი. სასამართლოს დასრულების შემდეგ ახლობლებს სერგოს შორიდან დანახვის საშუალება მიეცათ და



თქვეს, რომ უკვე ძლივს დადიოდა. ამის შემდეგ თეთრაძე ოჯახს აღარ უნახავს.

**24 სექტემბერს სერგო თეთრაძის დედას, რომელიც სხვა სახლში ცხოვრობს, გლდანის ციხიდან დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ მისი შვილი გულის შეტევით გარდაიცვალა და შეეძლოთ, ცხედარი სახლში წაესვენებინათ.**

ოჯახში მისვენებულ გვამს წამების კვალის დასაფარად სახეზე მაკიაჟი ჰქონდა, ტანზე კი სხვა ტანსაცმელი ეცვა. ოჯახს ექსპერტიზა ჩატარებული და ორგანოებამოცლილი გვამი დაუბრუნეს, მაგრამ ოფიცრის მეუღლეს ექსპერტიზის პასუხის მისაღებად დიდხანს დასჭირდა ლოდინი. როგორც იურისტები განმარტავენ, ოჯახის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება დანაშაულად ითვლება, რადგან ოჯახს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა ეკარგება. და კიდევ ერთი – გარდაცვალების ცნობის თანახმად, სერგო თეთრაძე 24 საათით ადრეა გარდაცვლილი, ვიდრე ეს ფაქტი ოჯახს შეატყობინეს.

თეთრაძის მეუღლემ დუმილი პატიმართა წამების ამსახველი კადრების გამოქვეყნების შემდეგ დაარღვია და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მეუღლეც სწორედ გლდანის მე-8 საპყრობილეში დაიღუპა სასტიკი წამებით.

**„ჩემი მეუღლე, დროებით დაკავების იზოლატორში აღმოჩნდა, სადაც კიდევ ერთხელ გაუსწორდნენ, ჩემი ქმარი ძალიან იყო ნაწამები. ვიცი დანამდვილებით, რომ იმ საღამოს ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა შევიდნენ მასთან და თვითონ აწარმოებდნენ ამ დაკითხვას“,** – განაცხადა ნანა თეთრაძემ.

ოჯახის ახლობლები ამბობენ, რომ ნანა თეთრაძეს ამბის გახმაურების შემთხვევაში ვაჟიშვილის გაუპატიურებით ემუქრებოდნენ და ის მხოლოდ ამიტომ ინარჩუნებდა დუმილს.

ლადო ბედუკაძემ, რომლის სახელსაც უკავშირდება გლდანის ციხეში წამების ფაქტების გადაღებაცა და შემდეგ უკვე გავრცელებაც, სხვადასხვა მედიასაშუალებებთან საუბრისას რამდენჯერმე დაადასტურა, რომ პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე გლდანის ციხეში სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც ციხის უფროსი და რეჟიმის უფროსი ეჭვმიტანილისაგან აღიარებითი ჩვენების მიღებას ცდილობდნენ.

ბედუკაძე ამბობს, რომ **„ბატონი სერგო იყო გამოცდილი ადამიანი, როგორც მე ვიცი, წლების განმავლობაში მუშაობდა სამხედრო დაზვერვაში და არ იყო ისეთი კაცი, რომ ადვილად გატეხილი იყო, ადვილად დამორჩილებოდა მათ ნებას და ამიტომ მიმართეს უკიდურეს ზომას“.**

ლადო ბედუკაძე აცხადებს, რომ იგი უშუალო მოწმეა პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებისა, რადგან იმ ღამეს მორიგეობდა და მზად არის, სასამართლოზე დაამტკიცოს, რომ სერგო თეთრაძის წამება უშუალოდ ბაჩო ახალაიამ და მეგის ქარდავამ დაუკვეთეს. შემსრულებელი კი ალექსანდრე მუხაძეა.

ბედუკაძის ინტერვიუებში გამოთქმულ ბრალდებას ადასტურებს ერთ-ერთი პატიმრის წერილიც, რომელიც №8 დაწესებულების პატიმარმა ოლეგ რამიშვილმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას გაუგზავნა.

რამიშვილი წერილში ამბობს, რომ ის ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. სექტემბრის შუა რიცხვებში, საღამოს თერთმეტის ნახევარზე, ალექსანდრე მუხაძემ მას დაავალა, რომ სერგო თეთრაძისგან გაეგო, ვისთან თანამშრომლობდა და ვის აწვდიდა ინფორმაციას.

როგორც რამიშვილი წერს, ის დატოვეს საკანში, ერთ საათში კი მასთან თეთრაძე უნდა შეეყვანათ. როგორც ირკვევა, ეს დრო თეთრაძის „დასამუშავებლად“ სჭირდებოდათ. რამიშვილის ინფორმაციით, იმ საკნიდან საკარანტინო ოთახები კარგად ჩანდა და ყველაფერი თავის თვალით ნახა. დაინახა, როგორ შევიდნენ თეთრაძესთან ოლეგ ფაცაცია და ალეკო მუხაძე და კარგა ხანს ხელკეტითა თუ მუშტებით ურტყამდნენ. ცემის დროს თეთრაძე დაეცა, და აღარ წამომდგარა. შემდეგ ის საკაცით გაიყვანეს.

**ცნობისათვის, ალექსანდრე მუხაძე, მეტსახელად „ქილერა“, პროფესიით ექიმი, გლდანის სამკურნალო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა.**

**„ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას დავალებით, ალექსანდრე მუხაძე და ოლეგ ფაცაცია მას აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტით. მზად ვარ, მათ ხელი დავადო და დავამტკიცო ის, რასაც ახლა ვამბობ. ამის დამადასტურებელი ვიდეომასალა ბაჩო ახალაიას სეიფში ინახება. ამას უშუალოდ ალექსანდრე მუხაძე იღებდა ახალაიასთვის და ჩანაწერიც თვითონ აქვს. ეს ჩანაწერი მაღალი ხარისხის ვიდეოზეა გადაღებული, სპეციალურად ახალაიასთვის, მზად ვარ, სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოვიდე და თუ უარყოფას გაბედავენ, 2-3 მოწმეს პირადად მე წარვადგენ“,** – აცხადებს ბედუკაძე „ობიექტივთან“ საუბრისას.

მართალია, პატიმრის წერილსა და ბედუკაძის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ინტერვიუებში გარკვეული სხვაობაა. პატიმარი წერს, რომ ხელკეტი ფაცაციას ეჭირა, მუხაძე მუშტებით ურტყამდა - ხელკეტით გაუპატიურება ნახსენები არ არის. ბედუკაძე კი ამბობს, რომ მუხაძეს ხელკეტით გაუპატიურებისას შემოაკვდა თეთრაძე. კითხვა ჩნდება კამერასთან დაკავშირებითაც, ის მუხაძეს ეჭირა, თუ უბრალოდ, სადმე იდგა – პატიმრის წერილში არც კამერაა ნახსენები, თუმცა როდესაც ობიექტური გამოძიება ჩატარდება და მოწმეები დაიკითხებიან, ალბათ ყველაფერი ზედმიწევნით გახდება ცნობილი.

ალბათ, მალე ისიც გახდება ცნობილი, რა გამოიძია სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა ვაკო გოგიშვილმა, რომელიც მედიას იმასაც კი არ ეუბნებოდა, სერგო თეთრაძის სიკვდილის ფაქტზე აღძრული საქმის გამოძიება დასრულდა თუ არა. ასევე ცნობილი გახდება, რა ჩვენების მიღება სურდათ თეთრაძისგან და რის აღიარებას მოითხოვდნენ მისგან.

**რატომ დააკავეს, შემდეგ კი, როგორც მოწმეები აცხადებენ, მოკლეს სერგო თეთრაძე, ამაზე ჯერ კიდევ ვარაუდებით შეგვიძლია ვისაუბროთ. როგორც ჩანს, შპიონომანიით შეპყრობილ ხელისუფლებას მორიგი ფილმისთვის მასალა სჭირდებოდა. ვისი ინიციატივა იყო მორიგი ჯაშუშის აღმოჩენა – ახალაიას სურდა თავის მოწონება თუ უბრალოდ, ისიც დაკვეთის შემსრულებელი იყო, ალბათ, ეს საკითხიც სასამართლოზე გაირკვევა.**

მარიამ თოდაძე

ინფორმაცია

## პრობაციის კომისია საქმეების განხილვას განახლებული შემადგენლობით იწყებს

**პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე გაუქმებისა და ნასამართლეობის მოხსნის საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, საქმეების ინტენსიურ განხილვას განახლებული შემადგენლობით იწყობინებიან.**

**როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროდან აცნობეს, პირველ ეტაპზე, კომისია საქმეთა განხილვისას უპირატესობას მიანიჭებს სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან, ხანდაზმულ და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირობით მსჯავრდებულებს, რომელთაც გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევარი აქვთ მოხდილი და პირობით მსჯავრდებულთა რისკების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიით, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალ რისკ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამ ეტაპზე, პრობაციის ბიუროები მუდმივმოქმედი კომისიის წინაშე შუამდგომლობას არ გაუწევენ პრობაციონერებს, რომლებიც განმეორებით არიან მსჯავრდებულები; მათ, ვინც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და პრობაციონერებს, რომლებიც საპრობაციო ვადის პერიოდში გამოირჩეოდნენ დადგენილი რეჟიმის უხეში და სისტემატური დარღვევით. პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, დაახლოებით 1500 პრობაციონერის განცხადების განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას გეგმავს.**

ინტერპრესი

## პრობლემა

*ემზარ კვიციანის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა. ოჯახის წევრები იმედოვნებენ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში კვიციანის საქმე თავიდან იქნება გამოძიებული და სამშობლოში დაბრუნებას თავად ემზარ კვიციანიც შეძლებს. კვიციანების საქმესთან დაკავშირებით კომენტარი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა. მისი თქმით, ემზარ კვიციანის დის ნორა კვიციანის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაგზავნილი სარჩელი მორიგებით უნდა დასრულდეს. რაც შეეხება თავად ემზარ კვიციანის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, მინისტრის თქმით, მისი შესწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი კვიციანი სამშობლოში დაბრუნდება და ექნება მზაობა, პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რაც საზოგადოებას ლეგიტიმურად გააჩნია.*

*„ნორა კვიციანმა წინა ხელისუფლების უსამართლო სასამართლოს და მთელი რიგი უსამართლობების წყალობით ძმის მიერ ჩადენილი შეცდომების შედეგი საკუთარ თავზე იწვნია. ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ უნდა დაისაჯოს რეალური დამნაშავე და არა ის, ვინც გგონია, რომ დამნაშავეა. სასჯელი კი, ადეკვატური უნდა იყოს", — განაცხადა თეა წულუკიანმა.*

*აღსანიშნავია, რომ ქართულ მედიაში ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის ინტერვიუ გავრცელდა, სადაც ისიც იმედს გამოთქვამს, რომ მალე შეძლებს საქართველოში დაბრუნებას. გარდა ამისა, საქართველოში დაბრუნების სურვილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ყოფილმა წევრმა და მოძრაობა „კოკოითი ფანდარასტის" დამფუძნებელმა ვლადიმერ სანაკოევმაც გამოთქვა. შეგახსენებთ, ვლადიმერ სანაკოევმა „კოკოითი ფანდარასტი" 2008 წელს დააფუძნა და ერთ-ერთი აქტიური აქტივისტიც იყო. შემდეგ იგი 2010 წელს რუსეთში გაიქცა და საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოში ყოფნის პერიოდში რუსული სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა.*

*შევარდნაძის ყოფილი მაღალჩინოსნების ქვეყანაში დაბრუნებაზე წინასაარჩევნო პერიოდში მუდმივად აპელირებდა „ნაციონალური მოძრაობა", რომლის წარმომადგენლებიც ამბობდნენ, რომ ივანიშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საქართველოში კანონიერი ქურდები და ყოფილი ხელისუფლების კორუმპირებული ჩინოვნიკები დაბრუნდებოდნენ, ქვეყანას კვლავ სათავეში მოექცეოდნენ და მის ძარცვას დაიწყებდნენ და ა.შ.*

*ამასთანავე, უკანასკნელ პერიოდში ძალიან გახშირდა დევნილების მიერ სხვადასხვა შენობებში შეჭრის ფაქტები, რამაც ახალ ხელისუფლებას გაუჩინა განცდა, რომ ამ შევარდნებს ორგანიზებული ფორმა აქვს. მართალია, რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა, რომ დევნილები, რომლებმაც გარკვეული შენობა დაიკავეს, უკვე ფლობენ საცხოვრებელ ფართებს და კიდევ ახალი საცხოვრებლის მიღება სურთ. ცხადია, ვის წისქვილზეც უნდა უშვებდეს წყალს დევნილების თემის წამოწევა, რადგან მათი პრობლემის აქტუალიზაციით და შევარდნაძის ხელისუფლების კორუმპირებული ჩინოვნიკების ქვეყანაში დაბრუნებით ხდება ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია და საზოგადოებისთვის იმის ჩვენება, რომ ივანიშვილის გუნდი გარკვეულ გამოწვევებს ვერ უმკლავდება.*

*მართლაც დაბრუნდებიან თუ არა ასეთი ადამიანები საქართველოში და მოუწევთ თუ არა მათ პასუხისგება იმ დანაშაულებზე რაც ჩადენილი აქვთ ქვეყნის წინაშე, ასევე როგორ აპირებს ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემას ახალი ხელისუფლება, ამ თემაზე for.ge-ს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე* **ვახტანგ ხმალაძე** *ესაუბრება.*



# საქართველოში ჩამოსული „მუმიები" და „ნაციონალებისგან" მართული დევნილები

**ვახტანგ ხმალაძე:** „ამ ყველაფერს პასუხი უნდა გასცეს სამართალდამცავმა ორგანოებმა. მათ უნდა შეისწავლონ თითოეული ასეთი ადამიანის საქმე, თუ საკმარისი საფუძვლები იყო, სისხლის სამართლებრივი დევნა გაგრძელდება, ხოლო თუ არ იყო - სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება. მე ზუსტად არ მახსოვს (ეს დასაზუსტებელიაძ ამ ადამიანების მიმართ შედგა თუ არა სასამართლო და დაუსწრებლად თუ აქვთ მსჯავრი დადებული. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება აქვს მიღებული, მაშინ როგორც კი ასეთი პირი საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე აღმოჩნდება, იგი მაშინვე უნდა იქნეს დაკავებული, მის მიმართ დამდგარი განაჩენი უნდა აღსრულდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაისინჯოს ესა თუ ის კონკრეტული საქმე.

თუ მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნაა დაწყებული და ჯერ განაჩენი არ დამდგარა, მაშინ პროკურატურას შეუძლია ან გააგრძელოს სისხლის სამართლებრივი დევნა და შესაბამისად, თავისუფლების შეზღუდვის ესა თუ ის ღონისძიება გამოიყენოს (დაპატიმრება, გირაო და ა.შ.ძ, ან შეუძლია სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტოს, ეს უკვე სახელმწიფოზეა დამოკიდებული.

სანაკოევს რაც შეეხება, მანდ სხვაგვარად იყო საქმე, რადგან მე მგონი სააკაშვილმა (თუ სააკაშვილმა არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან მაღალი რანგის თანადებობის პირმაძ თქვა, ჩვენ მზად ვართ, სანაკოევთან ახლაც გავაგრძელოთ თანამშრომლობაო. ზოგადად, მე არ ვიცი ამ ადამიანებთან დაკავშირებით საქმის წარმოება რა ეტაპზე იყო. ვიცი, რომ კვიციანსა და მამალაძეზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული იყო, მაგრამ ამ საქმეების შემდგომი ბედი არ ვიცი, ანუ მივიდა თუ არა ეს საქმეები სასამართლომდე. ასევე არ ვიცი სანაკოევზე დაწყებულია თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნა, თუმცა სააკაშვილის ასეთი განცხადება იყო. ამიტომ, ეს ყველაფერი სანახავია, ისე ვერაფერს ვიტყვი. ნებისმიერი ასეთი საკითხი, ვისაც გინდა შეეხებოდეს, სამართლებრივ ჭრილში უნდა გადაწყდეს.

**— „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები წინასაარჩევნოდ მუდმივად აცხადებდნენ, რომ ივანიშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ მუმიები და კიდევ ბევრი სხვა ეპითეტი იყო გამოყენებული. საუბარი იყო სწორედ შევარდნაძისდროინდელ ჩინოვნიკებზე.**

— არა მხოლოდ, თქვენ მუმიები ახსენეთ და მაშინ ეს ეხებოდა არა მხოლოდ მათ, ვინც სადმე არის წასული, არამედ იმათაც, ვინც საქართველოშია და ვის მიმართაც არანაირი სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობს. დიახ, ისინი ამას ამბობდნენ, მაგრამ ახლა შეხედონ, რა მოხდება და ამის მიხედვით იმსჯელონ. თუ ადამიანი არ იყო კრიმინალი, თუ ადამიანის მიმართ დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა (ჩვენ ხომ არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც დევნა უსამართლოდ და უკანონოდ იყო დაწყებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ვიღაცების მიმართ დევნა კანონიერადაც იყო დაწყებულიძ, ამიტომ, ეს ყველაფერი უნდა იქნას შესწავლილი და სამართალსა და კანონზე დაყრდნობით უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. სადაც დევნა იყო უსაფუძვლო, ის უნდა შეწყდეს, ხოლო თუ საფუძვლიანი იყო, უნდა გაგრძელდეს. სადაც დევნის კანონიერი საფუძველია, საქმე არ შეწყდება. ამის გარანტიას მე ვიძლევი. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ უსამართლოდ ვის მიმართაც იყო დევნა განხორციელებული, იქ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა სამართლიანობა აღდგეს.

რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ 150-მდე საქმეზე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებისძ ნათქვამია, რომ ამ ადამიანთა დევნის საფუძველი იყო პოლიტიკური მოტივი. ამით იმის თქმა მინდა, რომ არსებობენ ის ადამიანები, ვის მიმართაც, მათი საქმეების შესწავლის საფუძველზე, ნათქვამია, რომ ისინი უკანონოდ იქნენ დაპატიმრებულები და გასამართლებულები. ეს საქმეებიც უნდა იქნეს შესწავლილი და უნდა მივიღოთ კანონიერი გადაწყვეტილებები. უსამართლოდ არავინ უნდა დაისაჯოს.

**— ბატონო ვახტანგ, ძალიან აქტუალური თემაა დევნილების სხვადასხვა შენობებში შეჭრა, რასთან დაკავშირებითაც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ეჭვი გამოთქვა, რომ ეს ყველაფერი ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. ამგვარი აზრი საზოგადოებაშიც მუსირებს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კი განაცხადა, რომ სხვადასხვა შენობებში უკანონოდ შეჭრილ დევნილებს ამ ფართების დატოვება მოუწევთ. როგორ აპირებს ხელისუფლება ამ პრობლემის, ასე ვთქვათ, უმტკივნეულოდ მოგვარებას?**

— უმტკივნეულოდ ნამდვილად ვერ მოხდება, რადგან უკვე ოცი წელია დევნილები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ლამის ოცი წელია ხელისუფლებას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერი გაუკეთებია. ცალკეულ შემთხვევებში, რაღაც ნაწილი კი დაკმაყოფილდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან დიდია იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისი უფლებებიც დარღვეულია, თუმცა, მათი უფლებების აღდგენა არ შეიძლება სხვების უფლებების დარღვევის ხარჯზე მოხდეს. თქვენ საკუთრებაში რომ ვინმე შეიჭრას, ვინც მძიმე მდგომარეობაშია, ეს ხომ მას არ ამართლებს? რადგან ის მძიმე მდგომარეობაშია, ხომ არ შეიძლება, რომ მან თქვენი საკუთრების უფლება შელახოს? სახელმწიფომ თქვენი უფლებებიც უნდა დაიცვას. ამიტომ აქ ყველაფერი სამართლიანად უნდა გადაწყდეს და ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დევნილთა პრობლემა მოვაგვაროთ. რა თქმა უნდა, ერთბაშად ეს ვერ გაკეთდება. ახლა რაც ხდება, ანუ სხვადასხვა ადგილებში შეჭრა, ამასთან დაკავშირებით მეც მაქვს ეჭვი, რომ ეს ორგანიზებულად კეთდება.

**— მედიისა თუ საზოგადოების მხრიდან რამდენიმე დევნილი იმაშიც იყო მხილებული, რომ მათ აქვთ საცხოვრებელი, მაგრამ ისინი მაინც იჭრებიან სხვადასხვა ფართში.**

— დიახ, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის, მანდ სხვადასხვაგვარი შემთხვევები იყო. მათი ნაწილი მართლაც მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ არის მეორე ნაწილი (რამდენია მე ნამდვილად არ ვიციძ, რომელმაც სახელმწიფოსგან კომპენსაცია მიიღო, ჰქონდა ბინები, შემდეგ ეს ბინები გაყიდეს და ახლა ისევ სახელმწიფოს მხრიდან ითხოვენ კომპენსაციას იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მათ თავის დროზე მიადგათ. იმას, ვისაც სახელმწიფოსგან ერთხელ უკვე მიღებული აქვს კომპენსაცია, ცხადია, მეორედ მას არ ეკუთვნის, მაგრამ ზოგიერთები სარგებლობენ იმით, რომ მართლაც ვისაც ეკუთვნის, იმათთან ერთიანდებიან და ცდილობენ, მიიღონ ის, რაც არ ეკუთვნით. რასაკვირველია, ასეთი ადამიანების მიმართ დამოკიდებულება სხვაგვარი უნდა იყოს, მაგრამ ის, ვისაც ეკუთვნოდა, დღესაც ეკუთვნის და დღემდე სახელმწიფოს მასზე არ უზრუნია, დღეს ხელისუფლებამ სწორედ ასეთ ადამიანებზე უნდა იზრუნოს.

**რუსიკო უშიკიშვილი**

## „ჩასაფრებულის" ამონაწერები

# დეკ-ლარი-რებულნი

**არ გამოდის ლამაზად, რა თქმა უნდა, მაღალჩინოსანთა ქონებრივ დეკლარაციებზე ჩასაფრება და თვით ქონებისკენ ხელის შვერა, მაგრამ სურათი რომ აღმაშფოთებელი და მოუთმენელია, დასაგმობი და გასაკიცხია, ამასაც ხომ „რა თქმა უნდა"!**

გურამ ჩალაგაშვილს წლევანდელ ზაფხულში შეუვსია თავისი დეკლარაცია. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ყოფილა, 35 წლის ახალგაზრდა კაცი და წლიური შემოსავალი 264 ათასი ლარი ჰქონია (ნულებით საგანგებოდ არ ჩავწერე, ემანდ რომელიმე არ „დაიკარგოს"-მეთქი...ძ. დღეში 723 ლარი გამოდის, კაცოო! ამდენი ხანია, „დეკლარანტი" ვარ (დიდმოხელეთა დეკლარაციებს ჩასაფრებულიძ და ამგვარი „სარეკორდო" მაჩვენებელი ჯერ არ შემხვედრია! რა ვქნა ახლა, არ ვიფიქრო, დღეში 723 ლარისას რას არეგულირებს ამისათანას, როცა კომისიას „საქართველოს ეროვნული" ჰქვია და ამ დროს დარჩენილი ქვეყნის ამდენი მოსახლე ენერგეტიკასაც (გაზსა თუ შუქსძ მოკლებულია და წყლით მომარაგებასაც!

ახლა ქონებას არ იკითხავთ გურამისას? 250 კვადრატულმეტრიანი სახლი, ცალკე ცოლის სახელზე 100 კვადრატულმეტრიანი ბინა; ქმარს 2000 წლის გამოშვების „ფოლქსვაგენი", მეუღლეს 2008 წლის გამოშვების „სუზუკი"; ნაღდი ფული — 135 ათასი ლარი, 6 ათასი ევრო, 5 ათასი აშშ დოლარი!

როდის და როგორ მოასწრო ამ ახალგაზრდა კაცმა ამდენი რამის შეძენა — ის კომისია ქონებითაც ამარაგებს? „შესწორება" ხომ არ უნდა შევიტანოთ „ვეფხისტყაოსანში" — სჯობს ქონებისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა?..

ერთადერთი, რამაც თბილი გრძნობით განმაწყო მისდამი — ეს „კიდევ ერთხელ" ახალგაზრდა კაცი 3 ნორჩი შვილის მამა ყოფილა, უმცროსი სულაც მეორე წელიწადშია გადასული და სამივე მშვიდობით გაუზარდოს ღმერთმა, სამივეს სამართლიანი ქვეყანა დაახვედროს...

მარაგულირებელ ეროვნულ კომისიას კი კიდევ ერთხელ „შევაწუხებ". პარლამენტის ყოფილი მოკაშკაშე ვარსკვლავი, ქალბატონი მაია ნადირაძე ამავე კომისიის წევრი ბრძანებულა, 148 775 ლარი წლიური შემოსავლით (დღეში 407 გამოდის!ძ და ისე, სხვათა შორის, შეთავსებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელიც, 6000 ლარი წლიური ხელფასით, ანუ 500 ლარით თვეში (ეს ის ექსპარლამენტარია, რომელმაც ერთხელ დარბაზიდან „ისტორიული" რეპლიკა ისროლა: ძალა ჩვენს ხელშია და რისი ხოშიც გვაქვს, იმას ვიქმთო; სიტყვა „ხოში" მართალია, არ უხმარია, მაგრამ აზრი ასეთი იყოძ. ნეტავ „ნაპარლამენტევზე" ისეთი რა მუზეუმის მეცნიერობა აუტყდა, რომ 500-ლარიანი ხელფასი გაირტყა, მაშინ, როცა ნაღდი მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები 200 ლარს ვერ გასცილებიან. საქმე ასეა, მაია, ეს განა დასამალია!..

„შუქურას" მიერ შექმნილ დემოკრატიასა თუ სისტემაში, ბევრი უზნეობის გვერდით, სრულიად ლარაწყვეტილი სახელფასო მოსყიდვამოთაფვლაც შედიოდა უმაღლესი და „უმძლავრესი" კადრებისა, სრულიად უტიფარი ანაზღაურებითი უთანასწორობისა. ახალი ქაროცნული ხელისუფლება ბევრი რამის გადახედვას აპირებს, ტარიფების გადახედვითაც „იმუქრება". იმედი ვიქონიოთ, რომ ნაცური ხელისუფლებიდან ესტაფეტასავით არ „ჩაიბარებს" თავისთვის მაღალ ხელფასებს და ერთ-ერთ რეფორმად „ავტოშეკვეცას" გაატარებს; სამაგიეროდ ჩვენ, „პროლეტარებს" შემორჩენილი ქვეყნისა, მოგვიმატებს. პენსიებთან ერთად...

ჯერჯერობით კი დეკ-ლარი-რებულთა აღლუმი, შესახარბებელი და თვალებდასადგომი, გრძელდება. ჯერჯერობით კი ლარწაღებულნი მრავლდებიან. საზღვარგარეთ ლარწაღებულნი...

**ბერდია ბედოიძე**

**სათქმელი უნდა ითქვას**

# როცა ისინი ტკბილად მღეროდნენ, ჩვენი სამშობლო მწარედ მოთქვამდა!..

## ანუ რეჟიმთან მოფლირტავენი თვალში კვლავაც ნაცრის შეყრას ვერ უნდა გვიბედავდნენ!

**უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოლოდინი, გნებავთ, მოთხოვნა „ქართული ოცნების“ მიმართ, უწინარესად, „კარაქიანი პური“ (ანუ, ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეები) კი არა, სამართლიანობის აღდგენაა — თანაც მაქსიმალურად სწრაფად, რის პირობასაც უკლებლივ ყველა წინასაარჩევნო შეხვედრებზე იძლეოდა თავად ბიძინა ივანიშვილი. დიახაც სწრაფად, რადგანაც მისივე განმარტებით, „კარაქიანი პურისგან“ განსხვავებით, სამართლიანობის აღდგენას ფინანსური რესურსები კი არა, მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება სჭირდება!**

რაც გინდათ, ის დაარქვით ამ სამართლიან მოლოდინს, მართლმსაჯულების ასრულების ცივილური ტერმინით დაწყებული და, გნებავთ, შურისძიების „ქვენა“ გრძნობით დამთავრებული. დიახ, წინწკლებშია ეს სიტყვა, რადგანაც ამ 8-9 წლის მანძილზე იმდენი სისხლი და ცრემლი გვანთხევინეს ნაცისტებმა (დიახაც ეს სიტყვა ყოველგვარი წინწკლების გარეშე), რომ ქართველი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს შურისგების გამართლებული თუ არა, სრულიად გასაგები სურვილი აქვს!

ჰოდა, ნუ დავიწყებთ ახლა, როგორც იტყვიან, რომის პაპზე მეტ კათოლიკობას — მსგავსი „ქვენა“ სურვილები ჩვენზე არანაკლებად ცივილურ ერებსაც (აი, იმ ევროპის, საითაც მივისწრაფვითძ არა თუ ჰქონიათ, არამედ ეს სურვილები აუსრულებიათ კიდეც და რაღაც არ მსმენია, იტალიელები დღეს იმის გამო წითლდებოდნენ, რომ „გუშინ“ ბენიტო მუსოლინი და მისი კახპა ფეხებით ჩამოჰკიდეს!

ეს ისე, ცნობისთვის, და იმ ნაძირლების გასაგონად, გნებავთ გასაფრთხილებლად, რომლებიც დღეს ქუთაისის პარლამენტში ოპოზიციის მანტიამოსხმულები ძველებურად დაგვცინიან და მასხრად გვიგდებენ — **ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, რომლის რისხვისგანაც ჯერჯერობით ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იცავთ, მაგრამ ეს „ჯერჯერობით“, უსასრულოდ ვერ გაგრძელდება**. ამიტომ, როგორც იტყვიან, აზრზე მოდით და თუ გინდათ მშვიდობის ხიდზე გადით და გამოდით აკუ, გაკუ, გოკუებო, ემანდ რაიმე არ გაიჩალიჩოთ





ისეთი, რომ ბიძინასაც ალარაფერს შევეკითხებით!..

ყოველივე თქმულის, ანუ სისხლის სამართლებრივი თუ შურისგებითი პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს ზნეობრივ-მორალურიც, რაც ზოგჯერ შეიძლება არანაკლებ მძიმეც იყოს, რადგან პირველი ორის მოხსნა თუ ასრულებული განაჩენის შემდეგ მაინც არის შესაძლებელი, ზნეობრივ-მორალური პასუხისმგებლობა, როგორც წესი უვადოა, იშვიათად ეხება ამნისტია და სიცოცხლის ბოლომდე მიგყვება ტვირთად!

**ამას წინათ, მეცხრე არხით გავრცელდა მიმართვა-მოთხოვნა საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის მიმართ, რომელსაც ალა პუგაჩოვა, იოსებ კობზონი და სხვა რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლები აწერდნენ ხელს!?**

მიმართვის ტექსტში, რომლის ციტირებაზედაც თავს ვერ დავდებ, რუსული ესტრადის ვარსკვლავები თავიანთ ქართველ კოლეგას ვახტანგ (ბუბაძ კიკაბიძეს ესარჩლებიან, რომლის სახელობის ვარსკვლავი, როგორც ცნობილია ა.წ. 21 სექტემბერს სტუდენტებს გადაუღებიათ პროტესტის ნიშნად და ამ უსამართლობის გამოსწორებას საქართველოს პარლამენტისგან მოითხოვენ ხელმომწერები!

ბუბას სააკაშვილის მხარდაჭერა ვერ აპატიეს! პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ხოლო ხელოვნება რჩება; თქვენ ხომ დასავლეთისკენ მიდიხართ და, ამერიკაში იმის მიხედვით, ვინ რომელ პრეზიდენტს უჭერს მხარს, ბროდვეიზე ვარსკვლავებს არ გადალებავენო, გვამუნათებს ბუბაზე მატროსოვივით გადაფარებული რუსული ესტრადის პრიმადონა ალა ბორისოვნა, რომელიც პირველია იმ ხელმომწერებს შორის...

**ეეეჰ, ალა ბორისოვნა! შენ სულ შენი კეთილი გულით და იულია ლატინინას თუ ვალერია ნოვოდვორსკაიას შეგონებით მოგდის ეგეთები, თორემ პარალელებს მიშას ნაცმოძრაობას, ბუბას გადაღებილ და ბროდვეის ხელუხლებელ ვარსკვლავებთან კი არა, სხვა მიმართულებით გაავლებდი...**

მაგალითად, ჰიტლერულ გერმანიასთან — ადოლფ ჰიტლერსაც ჰყავდა საკუთარი ბუბა კიკაბიძე უნიჭიერესი და ულამაზესი (თუმცა ამ ეპითეტებამდე ბუბას ბევრი უკლიაძ მარიკა როკის სახით, მაგრამ დღეს ეს ქალბატონი უპირველესად იმით ახსენდება მსოფლიოს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკ და სისხლიან ტირანს ბოლომდე ეთაყვანებოდა და მხოლოდ შემდეგ — მისი ცეკვა-სიმღერა...

დიახ, შედარება ნურავის გემცხეთებათ — ნაციონალური მოძრაობაც, ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტურის მსგავსად ფაშისტური პარტია იყო და არის. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში და კიდევ იმაშია, რომ **ჰიტლერის პარტიას ერთი „პლუსი“ მაინც ჰქონდა — საკუთარ ხალხს არ ერჩოდა, გერმანული ერის გარდა, ყველას და ყველაფერს ანადგურებდა.** ჩვენი ნაცისტები კი პირიქით — საქართველო ათასი ჯურის გადამთიელების საჯიჯგლოდ უნდოდათ და **თუ რამეს ებრძოდნენ და ვერ იტანდნენ, ეს ქართველი ერი და ყოველივე ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური იყო!**

დროში და სივრცეში არ გაუმართლათ ქართველ ნაცისტებს, თორემ დღეს რომ გასული საუკუნის 30-იანი წლები ყოფილიყო, მხოლოდ გაზებს (რითიც არაერთხელ დაგვწამლესძ, რეზინისა თუ ნამდვილ ტყვიებს და ხელკეტებს არ გვაკმარებდნენ, კრემატორიუმებშიც სიამოვნებით ამოგვბუგავდნენ სადისტი ახალაიები.

**თუმცა, ცოცხებით გაუპატიურებამდე თვით ესესელების ფანტაზიამაც ვერ გაქაჩა და მაშინ რითი არიან ნაკლებნი ჩვენი მიშნაცების ჯალათები, ესესის კალტენბრუნერზე, ჰიმლერზე, მიულერზე, ეიხმანზე და ა.შ. მხოლოდ ცოცხებით?**

### ვახუშტიო, ვახუშტიო, ეს რა ბიჭი გაფუჭდიო...

**ეს ის ბუბაა, რომელიც, ამბობენ, ავტომატით ხელში ებრძოდაო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას; შემდეგ მიატოვა გაყინულ-ჩაბნელებული, დამშეული საქართველო და უკეთესი დროების დადგომამდე „მშობლიურ რუსეთს“ შეაფარა თავი. რუსეთს, რომლის გარეშედაც წარმოუდგენელია ბუბა კიკაბიძის ჯერ საბჭოური თავბრუდამხვევი კარიერა და შემდგომ, 90-იან წლებშიც გაგრძელებული;**

ბუბა კიკაბიძე, რომელიც ახალ, სააკაშვილის „დემოკრატიულ“ საქართველოში დაბრუნებული შეუდგა საკუთარი კეთილდღეობის შენებას, რასაც წარმატებით ახერხებდა უმძიმეს კრიმინალში ეჭვმიტანილ გია უდესიანთან ბიზნესპარტნიორობით; ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი „ფართოდ დახუჭული თვალებით“ „ვერ ამჩნევდა“ ვერაფერს ამ ხელისუფლების, პირადად მიშას დანაშაულობებიდან: 7 ნოემბერი თუ აგვისტოს ომი, რომლის დროსაც, რუსთაველზე მხარს უმშვენებდა გორში მიწაზე მფორთხავ, ჰალსტუხის მცოხნელ მთავარსარდალს, რომელიც წაგებულ ომში გამარჯვებას ზეიმობდა...

ამ ომის შემდეგ, დაუფიქრებლად მიაფურთხა საკუთარ გამზრდელ რუსეთს — „ვი მენია ნე ოზიდელი, ვი მენია რაზოჩაროვალიო“, უმღერა. რუსეთს, სადაც არ დაბადებულა, თორემ, რომ იტყვიან ძუძუ იქა აქვს ნაჭამი და ჭიპი მოჭრილი! რისგანაც მართლაც „რაზოჩაროვანმა“ ერთმა მეგობარმა ბუბაზე თქვა, „ონ დლია ნას უმერო“;

**არც იმისთვის ეყო ერთი ადგილი, რომ დიდი სამამულო ომის მემორიალის აფეთქება მაინც გაეპროტესტებინა, ომისა, რომელშიც მისი მამაც არის დაღუპული, მემორიალისა, რომლის აფეთქებასაც ქუთაისში დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა;**

არც ეს იკმარა და 26 მაისის სისხლიანი კალოს შემდეგაც კი, აშკარად შექანებულ პრეზიდენტს საქართველოს მხსნელად მოვლენილი ღვთის წყალობა უწოდა!

უფრო მეტიც, „უკანასკნელმა ყარაჩოღელმა“ ისეთი რამ იკადრა, რომ იეთიმ გურჯი, ალბათ, ახლაც ტრიალებს საფლავში — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის და ეგრევე მისი „ქართუ ბანკის“ დაყადაღების შემდეგ, როდესაც მთელი თბილისი სოლიდარობის ნიშნად ანგარიშებს ხსნიდა ბიძინას ბანკში, როგორც ამბობენ, ბუბა კიკაბიძე, რომელსაც 5000 ლარ პენსიას უხდიდა ბიძინა, რასაც ხელს არ ახლებდა ბუბა და ბანკშივე ტოვებდა, რადგანაც ძალიან „უჭირდა“, მისულა ბატონი ბუბა და თავისი პროცენტებიანად გამოუტანია რამდენიმე წლის დაგროვილი თანხა და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა უარი „კრემლის აგენტი“ ივანიშვილის პენსიაზე — **ვაა, ეს თუ მართალია, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი მიმიქარავს...**

რომელი ერთი გავიხსენო ჩვენი „ჩიტო-გრიტოს“ საქმენი საგმირონიდან, თუმცა ბოლო აკორდი მაინც მართლაც „მაჟორული“ გამოუვიდა — **მაშინაც კი, როდესაც მთელი საქართველო და თბილისი ყალყზე იდგა ცოცხების სადისტობით შეძრული, ვითომც აქ არაფერიაო და „ვერის უბნის მელოდიების“ უნიჭო რიმეიკში მანამდე ტინგიცობდა, სანამ ის ცოცხები სცენაზე არ დაუყარეს სტუდენტებმა და ამის მერე ვინმეს უკვირს, რომ მისი სახელობის ვარსკვლავი გადაღებეს ფილარმონიასთან?**

**„ლავ ელი ბუბაჯან, ლავ ტყაე პეპელა ტოო“, და შენც იქ, ალა ბორისოვნა — „ხვატიტ ნუ, ბაბა“...**

სამწუხაროდ, ბუბა არ გახლავთ ერთადერთი ამ საქმეში, სხვებისაც ბევრის ჩამოთვლა შეიძლება იმ „ხელოვანების“ თუ „მწერალ-პოეტების“, ვინც ამ წლების მანძილზე უგვანოდ ფლირტაობდნენ მიშნაცების ფაშისტურ რეჟიმთან — ზოგი „ჩემი გმირი გიწოდეს“ უმღეროდა წინასაარჩევნოდ 7 ნოემბრის ავტორ მიშიკოს და **მერე „ნაგლად“ თვალში ნაცარს გვაყრიდა მერაბ სეფაშვილი — ეს სიმღერა მამაჩემს უყვარდა და მიშას კი არა, მამაჩემს ვუმღერეო;** ზოგ-ზოგები კი იმ დროს, როდესაც პაპანაქება სიცხეში ჩვენი ბიჭების გვამები იხრწნებოდნენ, რუსთაველზე პატრიოტულ ლირიკას უბერავდნენ ჰალსტუხის მცოხნელი მთავარსარდლის საამებლად!

**სხვათა შორის, რეჟიმთან ფლირტაობაში შემჩნეულებში, ბუბასი არ იყოს, სხვა ვარსკვლავოსნებიც გახლავან...**

თუმცა მაამებლობის, უნამუსობის კვინტესენცია მაინც ის იყო, როდესაც 26 მაისის ბართლომეს ღამის გათენებისას, „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“ და ცხვრებივით ჩამწკრივებულმა „შემოქმედებითმა ელიტამ“ მორჩილად ჩამოიკიდა მკერდზე მიშას ბრწყინვალების ორდენები. მიშას მეხოტბე კიდევ ერთმა, უკაცრავად და, მწერალმა, რეზო ჭეიშვილმა კი 26 მაისს დახოცილი მიცვალებულები თუ ასობით დარბეულ-ნაწამები ხალხი იქით დაამუნათა — **აბა, რა ეგონათ, იმ სულელ ქალს** (ნინო ბურჯანაძე — **დ.მ.**) **რომ დაუჯერესო, დაარბევდნენ, აბა, რა და, რა ვუყოთ, თუ 2-3 კაციც დაიღუპა, ხდება ხოლმე ასეთებიო...**





ამისთანა ხალხს რომ ეკითხები მათი კონფორმიზმის, უფრო მარტივად კი, „პადხალიმობის“ შესახებ, არაფრის დიდებით არ აღიარებენ მაამებლობას. „უკეთეს“ შემთხვევაში გეტყვიან, რომ ისინი პროფესიონალები არიან და თავის საქმეს აკეთებენ, უარესში კი, თავებს „იქლიავებენ“ და პოლიტიკაში არ ვერევი, ან მთლად „უკეთესი“, — პოლიტიკა არ მესმისო, გაიძახიან!

პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა და ყოფით დონეზე, ანუ მარტივად, ასე განმარტავს უცხო სიტყვათა ლექსიკონი — „მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება“...

მაშ, რა არ გესმით, ამ უმარტივეს რამეზე, ხელოვანმა და განათლებულმა ხალხმა კი არა, ელემენტარულად წერა-კითხვის მცოდნე ადამიანმაც კი შეიძლება თქვას, არ მესმის, არ ვიცი და, გნებავთ, არ მაინტერესებსო?

**ამ წერილის წამკითხავთაგან შეიძლება ვინმემ მორალისტობა დამწამოს, ან კიდევ უარესი, განკითხვის ცოდვაში დამადანაშაულოს, მაგრამ მე მაინც ჩემსაზე დავრჩები — ყველამ ყველაფერზე უნდა აგოს პასუხი, მათ შორის მორალურადაც. გამობრძანდნენ მავანნი და საჯაროდ მოუხადონ ბოდიში ქართველ ხალხს იმისთვის, რომ, როდესაც საქართველო ტიროდა და უილაჯობის ჯავრის გორგალი ჰქონდა ყელში გაჩხერილი, იმ დროს ზოგი „თავის საქმეს“ აკეთებდა, ზოგს პოლიტიკა „არ ესმოდა“, ყველანი ერთად და ცალკ-ცალკე კი, ხელისუფლების საამებლად, მარტივად, ტინგიცობდნენ.**

**დიახ საჯაროდ, თვალებში ჩახედონ საკუთარ ხალხს, და არა ისე, როგორც ნიკა რაჭველმა მოიხადა ბოდიში, ანუ ლაითად — ვინ იცის, დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა იქნება შეუნდოს კიდეც თავის გზააბნეულ შვილებს?..**

**დავით მხეიძე**

**P. S. „ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს“ — მაგას რა ჯობია, მაგრამ — მომღერალმა უნდა იმღეროს, თუმცა მეფეს არ უნდა უმღეროს, პოეტმა ლექსი უნდა წეროს, მაგრამ არ უნდა დაუწეროს, მხატვარმა უნდა ხატოს, მაგრამ არ უნდა დაუხატოს და ა.შ. მით უმეტეს ისეთ ნაცისტურ ხელისუფლებას, როგორიც გვყავდა — ეს არის ნამდვილი ხელოვნების და ხელოვანის არსი, თორემ სხვანაირად ასეთი ხელოვნება იაფფასიანი ტინგიცობაა და სხვა არაფერი...**

**დ. მ.**

◎ არმია

# ალასანიას მძიმე მემკვიდრეობა

**საქართველოს მობილური და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობის ისეთი არმია უნდა ჰყავდეს, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ყველა რეგიონულ გამოწვევას, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ მას შემდეგ, რაც მინისტრის რანგში პირველი შეხვედრა გამართა თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობასთან.**

**ირაკლი ალასანიას წარმატებული მინისტრობისათვის მოტივაციაც აქვს, ცოდნაც და გამოცდილებაც. თუმცა, ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტის ინსტიტუტის მაღალი გავლენის, არმიის წინაშე მდგარი რთული საერთაშორისო ვალდებულებისა და წინამორბედის ექსტრავაგანტური პოლიტიკის შედეგად დატოვებული მძიმე ფინანსური მემკვიდრეობის გამო, ირაკლი ალასანიას და მის გუნდს პირველ ხანებში მაინც ძალიან გაუჭირდება განვითარების დოქტრინის განხორციელება.**

## გარღვევა თავდაცვის დეფიციტურ ბიუჯეტში

ალსანიშნავია, რომ ისეთი პარაზიტული, იერარქიული სტრუქტურის მდგრადობას, როგორიც თავდაცვის სამინისტროა, უწინარესად ფინანსები განსაზღვრავს. საქართველოს პრეზიდენტი და ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალა ყოველთვის ტრაბახობდნენ არმიისადმი განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით. თუმცა, როგორც „ცისფერი მთების“ გმირი იტყოდა, ირაკლი ალასანიას და მის გუნდს, სამხედრო უწყების „დეფიციტურ“ ბიუჯეტში, სერიოზული „გარღვევა“ დახვდათ.



**„პრობლემური საკითხები დაგვხვდა. დაახლოებით 113 მილიონი ლარი არის დეფიციტი თავდაცვის ბიუჯეტში. ჩემს სამუშაო ჯგუფს უკვე აქვს შემუშავებული მოსაზრებები ამ კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელსაც პრემიერ-მინისტრს მე ორშაბათს გავაცნობ.“**

სამხედრო უწყებას აღნიშნული ვალი, როგორც ირაკლი ალასანიამ დააზუსტა, გადახარჯვის, ანუ გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების არაგეგმიური და უყაირათო ხარჯვის შედეგად დაუგროვდა.

**„დარჩენილია რესურსი — 58 მილიონი, ვალდებულებები კი შესასრულებელია დაახლოებით 171 მილიონ ლარზე.“**

თუ როგორ დაგროვდა ამხელა დავალიანება სამინისტროში, რომელიც ხაზინიდან დაახლოებით წელიწადში 700 მილიონი ლარის მოცულობის ბიუჯეტით ფინანსდება, ჯერჯერობით უცნობია. ალასანია ამ საკითხს სწავლობს, მისი წინამორბედი დიმიტრი შაშკინი კი 2 ოქტომბრის შემდეგ გაუჩინარებულია საქართველოდან და „ფეისბუქზე“ მხოლოდ ემოციურ წერილებს აქვეყნებს საკუთარი უმწიკვლო და თავდადებული მოღვაწეობის შესახებ.

თუმცა, ალასანიას წინამორბედი ეტაპითაც რომ ჩამოიყვანონ საზღვარგარეთიდან, 113 მილიონი ლარის დავალინებას ამით არაფერი ეშველება. მოკლედ, ახალ წლამდე, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველ ორ წელს იყო, არმიის რჩენა, შესაძლოა, ისევ ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდს მოუწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ შეიარაღებულ ძალებში გამოცხადდეს კარანტინი, დაიხუროს რეზერვისტთა გადამზადების პროგრამები, შეჩერდეს სამხედრო გაწვევა და, ასევე, არმიის საბიუჯეტო კალთას, შესაძლოა, ჩამოცილდეს პროფესიული საკალათბურთო და სარაგბო გუნდები, რომელთა ყოფნა თავდაცვის სამინისტროს კმაყოფაზე სწორედ ახალაია-შაშკინის ნოუჰაუა და პრინციპულად ეწინააღმდეგება დასავლური სამხედრო ძალების ორგანიზაციის პრინციპს.

## უალტერნატივო ყოფნა ავღანეთში

**მაგრამ კურიოზი ისაა, რომ ირაკლი ალასანია, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს წინააღმდეგი იყო არმიაში სხვადასხვა სამოქალაქო უწყების ამოცანების დუბლირებისა, — ერთბაშად უარს ვერ იტყვის წინამორბედთა მიერ ნაკისრი ამ და სხვა ძვირად ღირებული ვალდებულების შესრულებაზე.**

ეს ეხება არა მხოლოდ თავდაცვის ბიუჯეტზე ჩამოკიდებულ პროფესიულ სპორტულ კლუბებსა თუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებს, არამედ გაზრდილ საერთაშორისო მისიასაც ავღანეთში, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. გარდა იმისა, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან, — როგორც სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილის ამბობს, — ქართული სახმელეთო ძალების 20% პროცენტი ავღანური მისიის შესრულებითაა დაკავებული.

**„ავღანეთში მყოფი 1500 ქართველი ჯარისკაცი, კაპრალი და ოფიცერი, ეს არის დაახლოებით 10 პროცენტი საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების იმ ქვეითებისა, რომლებიც გადანაწილებული არიან ხუთ ბრიგადაში. გარდა ამისა, მათი როტაციის დროს, რაც ყოველ 6-7 თვეში ერთხელ ხორციელდება — ნაწილი მიემგზავრება, ნაწილი უკან ბრუნდება ავღანეთიდან — ამ დროს გამოდის ისე, რომ 10% შეიძლება 20%-მდე გაიზარდოს. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ავღანეთში ნახევარი წლით ნამყოფი ბიჭების ბრძოლისუნარიანობა ძალიან დაბალია, რადგან ისინი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აუცილებლად მოითხოვენ აკლიმატიზაციას და ერთი თვით მაინც დასვენებას“, - ამბობს სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი.**

ავღანეთში ქართული სამხედრო ქვედანაყოფი 2009 წლიდან იმყოფება, შეიარაღებული ძალების დანაკარგი კი 18 დაღუპულ და ათობით დასახიჩრებულ და დაინვალიდებულ ჯარისკაცს უდრის. მაგრამ ახალი ხელისუფლება 2014 წლის ბოლომდე დატოვებს გაზრდილ ქვედანაყოფს ავღანეთში და სრულად შეასრულებს ნატოს სარდლობით მოქმედი ISAF-ის წინაშე ნაკისრ ვალდებულებასო, — აცხადებს არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის — „ქართული ოცნების“ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, რომელმაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის დასავლეთის თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება.

## არაწინაღდგომა ოცნებისა!

**მრავალმილიონიანი საფინანსო დეფიციტი და ქართული ჯარის გრანდიოზული წვლილი ავღანეთის უსაფრთხოებაში, — ახალი თავდაცვის მინისტრის მძიმე მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია.**

არსებობს პრობლემის კიდევ ერთი საგულისხმო პოლიტიკური ასპექტი. ახალი თავდაცვის მინისტრი, შექმნილი პოლიტიკური რეალობის თანახმად, ფაქტობრივად, ორი ბატონის მსახურია. როგორც მთავრობის წევრი ირაკლი ალასანია პირდაპირ ემორჩილება გამარჯვებული კოალიციის პრემიერ-მინისტრსა და თავის თანამოაზრე ბიძინა ივანიშვილს; ამავე დროს, როგორც სამხედრო უწყების ხელმძღვანელი, ახალი თავდაცვის მინისტრი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციით შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია.

ამჟამად სამხედრო ძალებს სწორედ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დანიშნული სარდლები უდგანან სათავეში. ეჭვგარეშეა, რომ თუკი პრეზიდენტი შეეცდება შეინარჩუნოს მისდამი ლოიალურად განწყობილი გაერთიანებული შტაბისა და საჯარისო სახეობების სამეთაურო შემადგენლობა, მაშინ ირაკლი ალასანია არმიაში ვერანაირ სისტემურ ცვლილებას ვერ განახორციელებს და იძულებული გახდება უფუნქციო სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის როლს დასჯერდეს. ამბიციური ალასანია კი არც დიმიტრი შაშკინია და არც დავით სიხარულიძე, რომ გენერალური შტაბის შენობას მხოლოდ საკუთარი კაბინეტის სარკმლიდან უყუროს. შექმნილი სიტუაცია თავისთავში შეიცავს კოლიზიის საფრთხეს. თუმცა, შესაძლოა, ზედმეტი დრამატიზებაც არ ღირდეს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც დღითი დღე კარგავს ძალაუფლებას და გავლენას, რეალურად აღარ შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს გამარჯვებულ პოლიტიკური ძალისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული მინისტრების მხრიდან წამოსულ მოთხოვნებს.

**კობა ლიკლიკაძე,**
რადიო „თავისუფლება“

◎ პრობლემა

# სკოლები რადიაციის კერები და კუსტარული სარკოფაგები

**„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ინიციატივით ჩატარებულ კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით რუსთავში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე საინტერესო და ამავდროულად შემაშფოთებელი ტენდენციები წამოტივტივდა.**

**გაირკვა, რომ რუსთავის №21 საშუალო სკოლაში დარჩენილია 8 ყუთი იმ ქიმიური ნარჩენებისა, რომლებსაც უკვე მოსწავლეებისათვის ცდების ჩატარებისთვის აღარ იყენებენ. მართალია, მათ ვადა აქვთ გასული, მაგრამ აღენიშნებათ ძლიერი სუნი. ისინი სკოლის ძველ ლაბორატორიაშია ჩაკეტილი, — თქვა ამვე სკოლის ქიმიის მასწავლებელმა.**

მისივე განმარტებით, ამ ყუთების წაღება არავის არ სურს. დასუფთავების სერვისი არ ეკარება, რადგანაც ქიმიური ნარჩენებია. ნაგავსაყრელზე წაღება არ შეიძლება, ისევე როგორც თავიდან მოცილება-დაღვრაც.

**№21 სკოლის დირექტორმა ნინო გავაშელმა ოდნავ შეარბილა თავისი პედაგოგის ნათქვამი და აღნიშნა, რომ არის არა 8, არამედ 2 ყუთი. მან იქვე განმარტა, რომ ეს ყუთები ამჟამად გატანილია სკოლის შენობიდან და სხვა კორპუსშია შენახული. საინტერესოა, რას ფიქრობს დირექტორი, მისივე სკოლის ან სხვა ბავშვები იმ შენახულს, თამაშ-თამაშში ვერ მიაგნებენ?**

**გავაშელმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ მიმართვები შარშანაც ჰქონდა გაგზავნილი, მაგრამ...**

**იგივე პრობლემები აწუხებს რუსთავის №13 საჯარო სკოლასაც. აქ ქიმიის პედაგოგს სარკოფაგი თავად მოუწყვია და, არ ელის რა არავისგან დახმარებას, ყოველწლიურად ასაფლავებს იქ ნაკლებად ძლიერ, უკვე ჩამოწერილ ქიმიურ ნარჩენებს.**

**შეშფოთებულ მოსწავლეებს რეკომენდაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელმა ნინო ჩხობაძემ მისცა. მისი განმარტებით, ამგვარ საკითხებზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო, ადგილებზე კი — რესურსცენტრები.**

**რუსთავის რესურსცენტრის ხელმძღვანელი მარინა უგულავა აცხადებს, რომ სკოლებს ამ მხრივ პრობლემები არა აქვთ, რომ ჰქონდეთ, აუცილებლად დაგვიკავშირდებოდნენ,** — ამბობს იგი. **ისე კი, რა დროს რადიაციაა, როდესაც არასამთავრობოებიდან უგულავას სერიოზული პრობლემები აქვს წაყენებული წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნებში რესურსცენტრის რესურსების ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერად გამოყენების მცდელობაში. ერადიაციება ეხლა მას?**

სპეციალისტების განმარტებით, სკოლებში დარჩენილი ქიმიური ნარჩენები არ არის ძლიერ მოქმედი ქიმიური ნივთიერებები. თუმცა, მათ უმეტესობას აორთქლების შემთხვევაში ერთმანეთზე ზემოქმედება და მომწამლავი გარემოს შექმნა შეუძლიათ. ასევე გვიხსნიან, რომ თუ ასეთი ნარჩენები ახალშეღებილ ოთახში ან ახალშეღებილ ნივთთან მოხვდება, მათ საღებავთან რეაქციაში შესვლა და ჯანმრთელობისთვის სერიოზულად საზიანო გარემოს შექმნა შეუძლიათ.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ინფორმაცია

## არჩილ ხაბაძემ 22 ობიექტის თვითმმართველობისთვის გადაცემის ბრძანება გააუქმა

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 22 ობიექტი თვითმმართველობისთვის გადაცემის ბრძანება გააუქმა. როგორც მან აღნიშნა, საჯარო რეესტრში პროცედურები დაწყებული არ იყო.**

**— პირველი ბრძანება, რომელიც ჩემს მიერ იქნა გაცემული, იყო 26 ოქტომბრის ბრძანების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება თვითმმართველობის საკუთრებაში უნდა გადაცემულიყო. სულ 22 ობიექტი იყო, მათ შორის — ბულვარის ტერიტორიის ნაწილიც. მოკვლევა ჩატარდა, საჯარო რეესტრში პროცედურები არ იყო დაწყებული და ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა. 22 ობიექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დავტოვეთ, — აღნიშნა არჩილ ხაბაძემ. მისივე თქმით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც მოკვლევას ჩაატარებს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან გაცემული ბრძანებულებების შესახებ. მისივე თქმით, მსგავსი ბრძანებულებების რიცხვი დიდია.**

ინტერპრესი

ვაი ჩვენს პატრონს!

# წერეთელი გავიტანოთ და ველოსიპედი დავტოვოთ(?!)




**როგორც ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ გვამცნო, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს ლაშა ბაქრაძეს „სოციალურ ქსელებში“ მკაცრი და დაუნდობელი აქცია წამოუწყია — „გაიტანეთ წერეთელი!“ მომხრეებიც გამოსჩენია პატივცემულ ლაშას, რათა მთელი ხმით დასძახონ, ზურაბ წერეთლის „წმინდა გიორგის ქანდაკება“ აუშნოებს „თავისუფლების მოედანს“ და მოვაშოროთ იქაურობასო.**

აბა, რა, ახლა ხომ „გასაჩივრების“ დრო დგას, ვისაც რა ხინჯი აქვს გულში, „თავისუფლად“ ამბობს და დარწმუნებულია, თუ გვეშველება, ახლა გვეშველებაო.

კი, მაგრამ, აქ მაინც რა არის „საშველი“ და „გასასაჩივრებელი?“

„სააკაშვილის ეპოქაში“ დადგმულ ამ ნაწარმოებს, რა გასაკვირია, იმთავითვე ჰყავდა მომხრეცა და მოწინააღმდეგეც, რადგან, ჩვენი სალოცავის — წმინდა გიორგის ქანდაკებას ეხებოდა საქმე, რომელიც დედაქალაქის უთვალსაჩინოეს ადგილას წამოიმართა. მე რამდენადაც ვიცი, ჩვენი დედაეკლესია დადებითად შეხვდა ამ ფაქტს, მადლობაც კი დაიმსახურა ბატონმა ზურაბმა, რომელმაც საჩუქრად გადასცა ეს ნაწარმოები საყვარელ თბილის-ქალაქს.

როგორც აღვნიშნე, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ მოსწონდათ ქანდაკება და, რახან, „სააკაშვილის ეპოქაში“ ვერ მიაღწიეს (ეტყობა, სააკაშვილი და წერეთელი ძმაკაცები იყვნენძ წმინდა გიორგის ძეგლის მოხსნას, ახლა ატეხეს ერთი ამბავი, ქვეყანაში სამართლიანობის სიომ დაბერა და, წერეთელსაც გავიტანთ ეგრევეო!..

აბა, რა გითხრათ, პატივცემულო ლაშა! დარწმუნებული ვარ, თქვენი დიდი მამა ბატონი აკაკი ბაქრაძე, ჯერ ერთი, არ მოგიწონებდათ ამ ფრაზას — **„გაიტანეთ წერეთელი!“** და, ის ცხონებული, იმაზეც დაფიქრდებოდა, ქალაქში, სადაც ბარეორი უნიჭოდ გააზრებული და უსახური ქანდაკება დგას (ახლა, ნუღა დამასახელებინებთ), ქალაქში, სადაც **ველოსიპედს დაუდგეს ძეგლი,** მაინცადამაინც მსოფლიოში სახელგანთქმული მონუმენტალისტის ზურაბ წერეთლის ნამუშევარი რატომ უნდა გვეჩხირებოდეს თვალში?!

ამაზე ატეხეთ „სოციალურ ქსელებში“ ერთი ამბავი, თქვე, კაი ხალხო (თუ, საერთოდ, გვაქვს ახლა იმის დრო, რომ ძეგლები ვანგრიოთძ!.

ახალ მთავრობას, კერძოდ კი, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იმდენი საქმე დახვდა საკეთებელი, ღვთის წყალობით, ნეტა, იმის გაკეთება შეძლოს და, ნუღა გავალიზიანებთ ამ ადამიანს ასეთი „გასაჩივრებებით“!

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...

**ვილენ მარდალეიშვილი**

ალიან-ჩალიანი

# უნდა გადაიხედოს სამარშრუტო ტაქსების უკანონო ტენდერები

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე „ქრისტიან-დემოკრატი“ ჯაბა სამუშია სამარშრუტო ტაქსების ტენდერის შედეგების გადახედვას ითხოვს.**

**ამასთან დაკავშირებით ჯაბა სამუშიამ დღეს თბილისის საკრებულოში ბრიფინგი გამართა და მერიის მიერ 2011 წლის იანვარში ჩატარებული ტენდერის დოკუმენტაცია წარმოადგინა.**

**მისი განცხადებით, ტენდერში შვიდი კომპანია მონაწილეობდა, თუმცა მათგან ოთხმა ისეთმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელთაც არ ჰქონდათ მოძრავი საშუალებები — ინვესტიციისათვის ამ სფეროში საჭირო იყო 80-100 მილიონი ლარი. გამარჯვებულ კომპანიას კი საწესდებო კაპიტალად ანგარიშზე ჰქონდათ მხოლოდ 100-100 ლარი. ოთხივე კომპანიას არასდროს ჰქონია ამ ბიზნესში მუშაობის გამოცდილება. ჯაბა სამუშიას თქმით, მათ შემდგომ მოახერხეს კომპანიაში შესული თანხებით მიკროავტობუსების შემოყვანა.**

**„ქრისტიან-დემოკრატი“ ჯაბა სამუშიას განცხადებებს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა კოკი იონათამიშვილმა უპასუხა, რომელიც სამარშრუტო ტაქსების ტენდერს შეეხებოდა. იონათამიშვილის განცხადებით, ტენდერი საჯაროდ ჩატარდა და მასში საკრებულოს ოპოზიციური დეპუტატებიც მონაწილეობდნენ. კომისიის წევრებს აქამდე კითხვები კომპანიების მიერ შეთავაზებულ წინადადებებთან დაკავშირებით არ გასჩენიათ და მას „არ ახსენდება, ასევე, ჰქონდა თუ არა განსხვავებული შეხედულება ტენდერის შედეგებთან დაკავშირებით“.**

**იონათამიშვილის თქმით, ტენდერის არც ერთი მოთხოვნა არ დარღვეულა. კომპანიების ოთხი გამარჯვებული კომპანიის შემდგომ ერთ კომპანიად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თუ როგორ გადაჯგუფდნენ გამარჯვებული კომპანიები, ამის უფლება მათ ჰქონდათ.**

**იონათამიშვილმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს 100-100-ლარიანი საწესდებო კაპიტალი ჰქონდათ, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში მათ 3 მილიონი ლარის საგარანტიო თანხა წარმოადგინეს, რაც ტენდერის მოთხოვნებით იყო გათვალისწინებული.**

**ასევე, იონათამიშვილის თქმით კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ 18 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 20 000 000 ლარი შეიტანა იმ დროს, როდესაც დედაქალაქში მოქმედ სატრანსპორტო კომპანიებს ბიუჯეტში არაფერი არ შეჰქონდათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს უმრავლესობა მერიის მიერ 2011 წლის იანვარში ჩატარებული სატენდერო შედეგების გადახედვის მომხრე არ არის.**

**იონათამიშვილი მიიჩნევს, რომ მოსახლეობას გაუმჯობესებული სერვისი აქვს. მგზავრობის საფასურთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ეს მათ არ შეუძლიათ, რადგან მერიას მხოლოდ მეტროსა და ავტობუსის სამგზავრო ფასის გადახედვა შეუძლია.**

## ვლადიმერ ბედუკაძე „ციხეში მომხდარი დანაშაულების შესახებ კიდევ ბევრ ფაქტს გაახმაურებს“

**ვლადიმერ ბედუკაძე პირობას დებს, რომ პოლიტიკური თავშესაფრის მიღების შემთხვევაში პენიტენციალურ სისტემაში მომხდარი დანაშაულების შესახებ საზოგადოებას კიდევ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის.**

**ბედუკაძის ეს განცხადება გუშინ ჟურნალისტებს მოძრაობა „ჩვენი საქართველოს“ წარმომადგენელმა ელისო კილაძემ გააცნო.**

**მისი თქმით, ვლადიმერ ბედუკაძეს, რომელიც კვლავ ბელგიაში იმყოფება, ახალი ადვოკატი ჰყავს, მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საქმეზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, ორი კვირის განმავლობაში იქნება მიღებული.**

**ამასთან, როგორც კილაძემ აღნიშნა, ვლადიმერ ბედუკაძე გამოთქვამს მზადყოფნას ობიექტური გამოძიების ჩატარების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებთან ითანამშრომლოს, გასცეს პასუხი ყველა კითხვას და თუ საჭირო გახდება თბილისშიც ჩამოვიდეს.**

ინტერპრესი

ჟამი გაკიცხვისა

# კულტურა დამამშვენებელი და შემფასებელია იმისა, რასაც თან სდევს

**ელემენტარული ჭეშმარიტებაა — პროფესია იქნება თუ დარგი, საქმიანობა თუ ქცევა და სხვაც არაერთი რამ, თავისი კულტურა უნდა ჰქონდეს, უნდა ახლდეს, უნდა უჩანდეს. კულტურა შემფასებელი და დამამშვენებელია იმისა, რასაც თან სდევს.**

ძელსკამზე რომ ზიხარ ავტობუსის გაჩერებაზე, ან ხეივანში, ან ბაღში თუ შენი სახლის წინ და მზესუმზირას აკნატუნებ, იქვე ჩენჩო არ უნდა დაყარო; მზესუმზირა თუ გიყრია პაკეტში, ერთი პატარა პარკი ჩენჩოსთვისაც იქონიე, რომ შენს შემდგომად მოძმესა შენსა იმ ძელსკამზე ჩამოსაჯდომად გული მიუვიდეს იქაურობის „ჩენჩოზირების“ გამო...

გვიან ღამით, ვთქვათ, პირველზე ან ორზე თუ აგრძელებ ტელევიზორის ყურებას, ხმას დაუწიე, კედელს იქით მეზობლებზე იფიქრე და იზრუნე. საცხოვრებელ კორპუსებს შორის თუ თავშესაყრელი, თავშესაქცევი ადგილია მოწყობილი, ღამის 3, 4 საათამდე ნუ ილაღავებ „თანაშეყრილებთან“ ისე ხმამაღლა, რომ ძილი დაუფრთხო ახლო-მახლო მობინადრეთ.

საქალაქო სამგზავრო ავტობუსის მძღოლი რომ ხარ და წინა სარკეში ხედავ ამოსულ მოხუც მგზავრს ან ბავშვატატებულ დედას, უცებ ნუ დასძრავ მაგ შენს რკინის რაშს, ხალხს დასაჯდომამდე მისვლა აცალე, ნუ წააბანცალებ.

ტელეჟურნალისტი რომ ხარ და გარედან ერთვები სტუდიაში მყოფთ, პირველ რიგში ნუ კი მიესალმები კოლეგებს ლიკას და ნიკას — ტელემაყურებელს მიესალმე და დაელაპარაკე, მისთვის მუშაობ და არა ნიკასა და ლიკასათვის, ისინი არსად არ გაიქცევიან...

პარლამენტარი თუ ხარ და იცი, რომ სხდომის ტრანსლაცია მიდის, კოლეგას თუ არა სცემ პატივს ან შენსავ თავს, მაყურებლის პატივისცემის ვალდებული ხარ; ამიტომაც ნუ მიეჭრები იმ კოლეგას და სილის სატკეცად ნუ გასწირავ შენი ხელმწიფე-მბრძანებლის საამებლად, დეპუტატობა რატომ უნდა იყოს ხულიგნობამდე „დაშვებადი“ და პოლიტიკური კულტურა ასე „დავიწყებადი“...

ხსენებაზე, პოლიტგადაცემის პოპულარული ტელეწამყვანი თუ ხარ, თავის გამოსაჩენად ასე ხშირად ნუ ჩაეჭრები შენივ მოწვეულ სტუმარს ლაპარაკში, ნუ გადაუფარავ შენგანვე დასმულ კითხვაზე პასუხს, აცალე აზრის დასრულება — კულტურა ხომ დიალოგსაც სჭირდება...

სახელმწიფოს (თუნდაც სავალალო მდგომარეობაში მყოფისძ უმაღლესი პირი რომ ხარ, შენი ენა-პირი საგანგებო კონტროლზე უნდა აიყვანო და წამოყრანტალების ნება არ უნდა მისცე, თანაც ასე ხშირად. რამდენმა უნდა აგიხსნას და რამდენჯერ უნდა აგიხსნან, რომ მთელი (თუმცა დარჩენილიძ ქვეყნის პრეზიდენტი ხარ და არა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (ისიც საკითხავია, უნდა რჩებოდეს თუ არა სახელმწიფოს, შემდგარისა თუ ვერშემდგარის, მეთაური პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარედძ. უკვე ერთი კვირაა და მეტიც, რაც ყბადასაღები და ყბადაღებული გამხდარა შენი სრულიად დაუფიქრებელი საჯარო განცხადება — ჩვენ ოპოზიციაში გადავდივართო. ნეტავ თუ იცის მსოფლიოს პოლიტიკურმა ცხოვრებამა და ისტორიამ შემთხვევა, რომ რომელიმე ნორმალური ქვეყნის ნორმალური პრეზიდენტი ამგვარი „მემორანდუმით“ გამოსულიყოს ტელეეკრანზე; ანდა რა უმაღლესი პირის სათქმელია — ესა და ეს გაზეთები ფაშისტურია, ესა და ეს ტელეარხები ფაშისტურიაო, გინდაც მართლაც იყოს ასე? ამგვარი შეფასება პრეზიდენტმა ტელეეკრანიდან კი არა, შინაურთა წრეშიც არ უნდა იკადროს, საღრეობო სუფრა იქნება, მასაჟების კაბინეტი თუ ყვარლის რანჩო; ან კიდევ იმხელა და „იმძალა“ რუსეთს რომ მისდგება და ლანძღვა-გინების კორიანტელს დაუყენებს — განა დასავიწყარი დრო გავიდა 2008 წლის აგვისტოს მერე?.. რამდენია ასეთი აწყვეტილი ლაპარაკის მაგალითი...

მეტყველებას, მით უფრო საჯაროდ, ხომ მოეთხოვება კულტურა — საპრეზიდენტო მეტყველება, გამოსვლები განსაკუთრებით მაღალი კულტურის მატარებელი უნდა იყოს. პირზე მომდგარსა სიტყვასა, მეტადრე, უმაღლესი პირისა, განა ყველასა თქმა უნდა...

**თამაზ ებანოიძე**

ნავთობის სექტორი

# ყველაზე დიდი გარიგება

**უახლოეს მომავალში რუსეთული კომპანია „როსნეფტი“ მსოფლიოში უდიდეს სანავთობო კომპანიად გადაიქცევა.**




ოქტომბრის მიწურულს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც „როსნეფტის“ მიერ „ბრიტიშ პეტროლეუმისგან“ „ტიუმენის სანავთობო კომპანიის“ წილის გადმოსყიდვის პრინციპებს განსაზღვრავს. „როსნეფტის“ ხელმძღვანელის იგორ სეჩინის განცხადებით, ეს გარიგება ნავთობისა და გაზის სექტორის ისტორიაში უდიდეს კომერციულ შეთანხმებად შევა. ტნკ-BP-ს აქციების 100 პროცენტის შეძენის შედეგად „როსნეფტი“ მსოფლიოში უდიდესი სანავთობო კომპანია გახდება, რომლის აქციების ფასს მსოფლიო ბაზარზე დღე-ღამეში 4,5 მილიონი ბარელი ნავთობის მოპოვება განსაზღვრავს. წინასწარი შეთანხმებით ლაპარაკი მიდიოდა დაახლოებით 25-27 მილიარდ დოლარზე, რომელთაგან 11-13 მილიარდი დოლარის გადახდას „როსნეფტი“ ნაღდი ფულით აპირებს, დანარჩენის კი — აქციებით.

ამასთან, აღნიშნავენ, რომ საქმეში „ბრიტიშ პეტროლეუმიც“ დარჩება, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, „როსნეფტის“ ფასიანი ქაღალდების 19 პროცენტს მიიღებს. აქციების 12,85 პროცენტი უბრალოდ ამ ბრიტანული სანავთობო კომპანიის ხელში გადავა, ხოლო 1,5 პროცენტამდე აქციებისა მას უკვე აქვს.

გარდა ამისა, როგორც სეჩინმა აღნიშნა, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხარდაჭერის გარეშე ეს ისტორიული გარიგება ვერ შედგებოდა. ამასთან, მან ასევე დასძინა, რომ გარიგება მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნის ენერგეტიკული სექტორისთვის, არამედ მთლიანად ეროვნული ეკონომიკისთვის და რომ ეს უნიკალური შეთანხმება მას ინვესტორთათვის კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს გახდის.

**ოთარ ტურაბელიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მაისს მარტში გეგმავდნენ

## თარგამაძისა და უდალცოვის კავშირი დაადასტურეს სამხედრო კომპრომატებმა

**საქართველოში გაჩნდა კიდევ ერთი დადასტურება სერგეი უდალცოვისა და ვარდების რევოლუციის ცნობილი კონსტრუქტორის გივი თარგამაძის კავშირურთიერთობათა შესახებ. საქართველოს პრესამ აღმოაჩინა ადგილობრივი პოლიტიკოსების მოლაპარაკების ჩანაწერი, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტ-აპრილში განიხილებოდა უდალცოვისთვის დახმარება მოსკოვში 6 მაისს მომხდარი მასობრივი უწესრიგობების ორგანიზებაში.**

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის ყოფილი წევრის, ამჟამად პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამ კომიტეტის წევრის გივი თარგამაძის შემდეგ რუსული ოპოზიციის დაფინანსების სკანდალში შეიძლება ჩაერთოს მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთი მახლობელი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი. საკითხი შეეხება ექსდეპუტატ კოკა ნაყოფიას.

ამის შესახებ იტყობინებოდა „ჯორჯიან ტაიმსის“ ქართული პორტალი „იუთაბის“ გამოქვეყნებულ კომპრომატზე მითითებით. ამ მასალებში არის მოლაპარაკება, რომელსაც თითქოსდა ზაფხულში აწარმოებდნენ საქართველოში ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორი და ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი, კიდევ ერთი ბიზნესმენი პრეზიდენტის ახლობელი რევაზ შარანგია, ენერგეტიკისა და ფინანსების ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური.

ეს მასალები უკვე წამოტივტივდა საქართველოში და იქცა ქვეყანაში შინაპოლიტიკური სკანდალების მიზეზი. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ჩანაწერებში არიან ისეთებიც, რომლებიც მოწმობენ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის პირდაპირ კავშირზე რუსეთის არასისტემური ოპოზიციის წარმომადგენლებთან. უფრო მეტიც, ამ მოლაპარაკების დროს განიხილებოდა მიტინგები და მზადება რუსეთში მასობრივი უწესრიგობებისთვის. როდესაც აუდიოჩანაწერზე, რომელზეც თითქოსდა გაისმის საუბარი ნაყოფიასა და თარგამაძეს შორის, საუბრობენ, „ჯორჯიან ტაიმსის“ ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საუბარი დათარიღებულია მარტი-აპრილით და იგი ეხება რუსული ოპოზიციის მიტინგს 5 მარტს მოსკოვში, პუშკინის მოედანზე. ესე იგი, განხილვა მიმდინარეობს ჯერ კიდევ სკანდალური აქციის დაწყებამდე, 6 მაისს, რაც დამთავრდა მასობრივი უწესრიგობებით, ასობით დაპატიმრებულით და ათობით დაზარალებულით, მათ შორის, რუსეთის ომონის თანამშრომელთა შორისაც.

სავარაუდოდ, ნაყოფია და თარგამაძე გეგმავენ აქციას 6 მაისისთვის, საუბრობენ „დაზარალებულთა შესაძლო ოდენობაზე“. ახსენებენ რუსი ოპოზიციონერის სერგეი უდალცოვის სახელსაც, ვისთან ნაცნობობასაც თარგამაძე, მიუხედავად „ნტვ“-ის კადრებისა ფილმში „პროტესტის ანატომია-2“, კვლავ უარყოფს. თარგამაძე, როდესაც უპასუხებს ნაყოფიას შეკითხვაზე მომიტინგეთა ოდენობის შესახებ, ამბობს, რომ მათი რაოდენობა იყო 20-25 ათას კაცამდე, და განიხილავს, თუ როგორი შეიძლება იყოს აქცია მაისში. შეგახსენებთ, რომ, ოფიციალური მონაცემებით, პუშკინის მოედანზე მიტინგში მონაწილეობდა მხოლოდ 5,5 ათასი კაცი. ამრიგად, ინფორმაციის ასეთი გადინება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თარგამაძესა და უდალცოვს შორის ზუსტად არსებობს რაღაც კავშირი და ამ კავშირის ხასიათი მით უფრო საეჭვოა, რაც უფრო დაბეჯითებით უარყოფს მას თარგამაძე.




თარგამაძეზე საქართველოში საუბრობენ, როგორც ადამიანზე, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა მოაწყო „ფერადი რევოლუციები“. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ წარმატების შემდეგ ის გადასცემდა გამოცდილებას ან პირდაპირ იმეორებდა თავის გამოცდილებას უკრაინაში, ყირგიზეთში, ბელარუსში წარმატებათა სხვადასხვა ხარისხით. მისი კავშირებით რუსეთის ოპოზიციასთან უფრო მეტად დაინტერესდება, ალბათ, სპეციალური კომისია საქართველოს პარლამენტში, რომელიც მალე დაიწყებს სააკაშვილისა და მისი გუნდის მოქმედებების კანონიერების შესწავლას საქართველოში ხელისუფლების მართვის წლებში.

* * *

თარგამაძემ სამშაბათს კიდევ ერთხელ განუცხადა ჩვენს გაზეთს იმის შესახებ, რომ პირადად არ იცნობს „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერს, თუმცა გაცნობის წინააღმდეგი არ არის. რაც შეეხება კადრებს ფილმში „პროტესტის ანატომია-2“ და ნებისმიერ სხვა მასალას, თარგამაძე უარყოფს მათს იდენტურობას: „ეს ყველაფერი მოგონილია“. ამ დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მზად არის, გაუზიაროს გამოცდილება რუსეთის ოპოზიციას, ვინაიდან „ამაში არ არის კრიმინალი“.

რაც შეეხება ნაყოფიას, კომენტარები მასზე ჯერჯერობით არ არის. ეს პოლიტიკოსი და ბიზნესმენი უკანასკნელ ხანებში დაგვამახსოვრდა იმით, რომ დააფინანსა ჰოლივუდის ფილმი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ „აგვისტოს ხუთი დღე“. წინასწარი მონაცემებით, გადაღებისთვის გამოყოფილი იყო 20 მილიონი დოლარი. და თუ ნაყოფია მთლიანად არ აფინანსებდა მას, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ნაწილს მაინც. როგორც საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, ნაყოფიამ ასე „გამოისყიდა ქვეყნიდან თავისი გაქცევა“ სამხედრო მოქმედებების დროს ოთხი წლის წინათ. ტელეკომპანია „მაესტროს“ ცნობით, ეს დეპუტატი იყო იმ ოფიციალურ პირთა შორის, რომლებიც ჩქაროზდნენ ქვეყნის დატოვებას იმ მძიმე დღეებში.

ნაყოფია 90-იანი წლების დასაწყისიდან 2004 წლამდე წარმატებით ეწეოდა ბიზნესს რუსეთში. „მაესტროს“ მონაცემებით, მასზე და მის მეუღლეზე ამჟამად მოსკოვში ირიცხება ორი ბინა. ის დაკავშირებულია ოქროს მომპოვებლებთან საქართველოში, ამ სფეროში კი საქართველოში აქტიურად არის ჩართული რუსეთის კაპიტალი...

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილი გამარჯვებულთა ნადიმზე მიჰყავთ

**ლიდერები კოალიცია „ქართული ოცნებისა“, რომელმაც გაიმარჯვა პარლამენტის არჩევნებში, აყალიბებენ სპეციალურ საგამოძიებო კომისიას პროპრეზიდენტული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვისდროინდელი გახმაურებული საქმეების გამოკვლევისთვის. ზოგიერთ მათგანზე მოპასუხეები შეიძლება გახდნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ხალხი მისი უახლოესი გარემოცვიდან. ექსპერტები ადასტურებენ: ქვეყანას ემუქრება საკუთრებათა მკაცრი გადანაწილება და „სისხლიანი ქაოსი“.**

ჩვენი მონაცემებით, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შესახებ საკითხი უკვე შეთანხმებულია პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან და მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ სხვა ხელმძღვანელებთან. კომისიის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, დაავალებენ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თინათინ ხიდაშელს, რომელსაც ეკუთვნის მისი შექმნის ინიციატივაც. „კომისია იმუშავებს სამ ძირითად მიმართულებაზე, — გვითხრა მან. — ჯერ ერთი, სააკაშვილის მმართველობის პერიოდის გახმაურებული საქმეები, რომლებმაც შეარყიეს ქვეყანა, მეორეც, ხელისუფლების წარმომადგენელთა საკუთრების მოცულობის შემთხვევა და, მესამეც, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევები“.

ქალბატონმა ხიდაშელმა არ გამორიცხა, რომ რომელიმე საქმე შეიძლება შეეხოს პრეზიდენტ სააკაშვილსაც. კერძოდ, ეს შეეხება 2005 წელს ბიზნესმენისა და დეპუტატის ვალერი გელაშვილის ცემას. მაშინ პარლამენტარმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „რა უნდა ვილაპარაკოთ პრეზიდენტზე, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ ცოლი გაექცა“? ამის შემდეგ მას თავს დაესხნენ და სცემეს. თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ვალერი გელაშვილი სცემეს სპეცნაზელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მითითებით მოქმედებდა. ამ საქმესთან დაკავშირებით საპარლამენტო კომისიაზე შეიძლება გამოიძახონ თავად პრეზიდენტი, და თუ გამოძიება დაამტკიცებს მის ბრალეულობას, პარლამენტმა, შეიძლება, აამოქმედოს იმპიჩმენტის პროცედურა.

კომისია განსაკუთრებული დაბეჯითებით შეისწავლის საქართველოს ციხეებში წამების ფაქტებს, რამაც არჩევნების წინ საზოგადოებაში დიდი აურზაური გამოიწვია. მმართველი კოალიციის ლიდერები ამტკიცებენ, რომ პენიტენციალურ სისტემაში მომხდარი საშინელებანი იძლევა იმის საბაბს, რომ უნდა დაისაჯონ არა მხოლოდ ციხეების უფროსები და ზედამხედველები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსხელმძღვანელი ბაჩო ახალაია, რომელმაც, ზოგიერთი მონაცემებით, უკვე დატოვა საქართველო. არანაკლებ გახმაურებული შეიძლება აღმოჩნდეს საკუთრების მოცულობათა საქმეებიც: უკანასკნელ წლებში ზოგიერთი ბიზნესმენი მოულოდნელად ჩუქნიდა თავის ქონებას სახელმწიფოს (აქციებს, მიწას, სახლებს, საწარმოებს და ა.შ.ძ. ახლა მათ პეტიციებით აავსეს თინათინ ხიდაშელი და პარლამენტის სხვა ლიდერები, ამტკიცებენ, რომ გადასცემდნენ სახელმწიფოს თავიანთ საკუთრებას არა ნებაყოფლობით, არამედ პროკურატურის ზემოქმედებით, რომელიც იმუქრებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრით გადასახადების დაფარვისა და კანონების დარღვევის საბაბით.

კომისიის მუშაობის კიდევ ერთი მიმართულება — ეს არის „ელიტარული კორუფციის“ შემთხვევების გამოძიება, რომლებშიც გარეული არიან მაღალი თანამდებობის პირები. კერძოდ, ქალბატონი ხიდაშელი არაერთგზის ჰპირდებოდა მოტყუებულ მოწილადეებს, რომ გაერკვეოდა პარლამენტის ყოფილი ვიცესპიკერის რუსუდან კერვალიშვილის დეველოპერული კომპანიის „ცენტრ პოინტ გრუპის“ საქმეში, რის შედეგადაც დაახლოებით 6 ათასმა ოჯახმა დაკარგა საცხოვრებელი და დანაზოგები.

კომისიას ექნება შეკითხვები სხვა ჩინოვნიკებისადმიც. როგორც ჩანს, ამის გამო გაიქცა უცხოეთში ბევრი მათგანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას, იუსტიციის ექსმინისტრის ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინისა და უფრო დაბალი რანგის ზოგიერთი ჩინოვნიკების გარდა, უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნიდან გაიქცა კიდევ გენერალური პროკურორი მურთაზ ზოდელავა. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა: „ჩვენ მათ მოვნახავთ, სადაც უნდა იმალებოდნენ — თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე“.

პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლები საყვედურობენ ოპონენტებს დაუდასტურებელი ბრალდებების გავრცელებაში. „მათგან განსხვავებით, ჩვენ არასოდეს დაგვირღვევია ივანიშვილის უდანაშაულობის პრეზუმფცია, თუმცა მისადმი არის ბევრი შეკითხვა, მათ შორის, მის ცხოვრებასთან დაკავშირებით რუსეთში, — გვითხრა დეპუტატმა პროპრეზიდენტული პარტიიდან დავით დარჩიაშვილმა. — აი, ჩვენს ოპონენტებს კი შეუძლიათ, უბრალოდ, დაუდასტურებლად დასდონ ბრალი ვისაც გინდა, რა სახის დანაშაულშიც გინდა“.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**საუდის არაბეთში დენის დარტყმისგან ქორწილში 25 კაცი დაიღუპა**

საუდის არაბეთში ქორწილის 25 სტუმარი დაიღუპა ელექტროდენის დარტყმის შედეგად, კიდევ 30-მა მიიღო ტრავმა. ვიღაცამ სტუმართაგან დაიწყო ჰაერში სროლა და გადაჭრა მაღალი ძაბვის კაბელი. გადმოცვენილმა ნაპერწკლებმა გამოიწვიეს ხანძარი, კაბელის მონაკვეთი კი შეეხო ლითონის კარს, საითკენაც გაცვივდა ხალხი.

* * *

**ბალიზე ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის რუსეთელი გაასამართლეს**




ინდოეთის სასამართლომ რუსეთელ სერგეი ჩერნიხს ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის 11 წლის ციხე მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მან უნდა გადაიხადოს აგრეთვე ჯარიმა დაახლოებით 104 ათასი დოლარის ოდენობით, ანდა ციხეში დამატებით გაატაროს ექვსი თვე.

* * *

**უნგრეთში ჩასახლება შეიძლება 250 ათას ევროდ**



უნგრეთის ხელისუფლებამ დააყენა წინადადება, მიენიჭოს რეზიდენტის სტატუსი უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც შეისყიდიან სახელმწიფო ობლიგაციებს სულ ცოტა 250 ათასი ევროს ოდენობით, დაფარვის სულ ცოტა ხუთი წლის ვადით. კანონპროექტი, რომელიც უნდა დაეხმაროს ქვეყანას ეროვნული ვალის ლიკვიდაციაში, შესთავაზეს დეპუტატებმა მმართველი პარტიიდან.

* * *

**პუერტო-რიკოში დააპატიმრეს ნარკოვაჭრობის სახელმძღვანელოს ავტორები**

30 ოქტომბერს პუერტო-რიკოს პოლიციამ დააპატიმრა დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, რომლებზეც არის ეჭვი, რომ ისინი ავრცელებდნენ ნარკოტიკებს და შექმნეს სახელმძღვანელო აკრძალულ ნივთიერებათა წარმოების შესახებ. ჯგუფს ბრალს სდებენ ნარკოსინდიკატის მართვაშიც, რომელიც მუშაობდა ქვეყნის სამხრეთში 2003 წლიდან და ფლობდა ნარკოტიკების დამამზადებელ ლაბორატორიებს.



**როგორც იქნა, მუშაობას შეუდგნენ ახალი მოწვევის პარლამენტი და მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში არჩევნების გზით პირველად ჩაენაცვლა ახალი ხელისუფლება ძველს. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველ ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები უფრო მეტად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას წააგავდა, ვიდრე არჩევნებს — არჩევნებამდე თითქმის ერთი წელი კი ხელისუფალთა მხრიდან ხელისუფლების შენარჩუნების უპრეცედენტო მცდელობას.**

იყო ხელისუფლება და მის ირგვლივ დარაზმული ნათესავმეგობრები, ნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი ადამიანები და იყო ოპოზიცია - ანუ ერთი კაცის ირგვლივ დარაზმული სრულიად საქართველო. სწორედ ამ ერთმა კაცმა გამოაღვიძა სადათას ძილს მიცემული ქვეყანა და შეახსენა, რომ გატრუნული ყოფნა თითოეული ადამიანის, ქვეყნის დასასრულის დასაწყისია. სწორედ ამ ერთმა კაცმა შეძლო დაქსაქსული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება და მისთვის იმის შთაგონება, რომ კულმინაციურ მომენტში ხელისუფალთა მიერ ნაბოძებ პრიალა-პრიალა „სათამაშოებზე" ნამუსის გაყიდვა არაკეთილშობილური საქმეა.

პირველ ოქტომბერს ერთი კაცი იდგა ხელისუფლების მანქანის წინააღმდეგ და მას მისცა ხალხმა ხმა და არა კოალიციაში გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიებს. ეს ხმები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ხალხის ალერგიული დამოკიდებულება კოალიციაში მყოფი ზოგიერთი პარტიის ან პიროვნების მიმართ.

**მძიმედ გამოიჭედა გამარჯვება, რომელსაც თავისუფლად შეიძლება დაერქვას ერთი კაცის და ხალხის გამარჯვება.**

ნაციონალური ხელისუფლების დამარცხება მეტად რთული საქმე იყო. ეს მოძრაობა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს აერთიანებს, რომელთა მიზანი საკუთარი კეთილდღეობა და მომხვეჭელობაა - სამშობლოს ბედნიერების გამუდმებული ყვირილით. ოპოზიციაში გადასული ნაცმოძრაობა დაბოღმილი ძალაა, რომელიც წამს არ გაუშვებს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის, რაც კარგად გამოჩნდა გამარჯვებული კოალიციის ლიდერის საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრის დროს.

ნაციონალთა მხრიდან, ისე, როგორც ბოლო 9 წლის განმავლობაში, კვლავ გაისმა „პატრიოტული" სიტყვები სამშობლოზე, მის კეთილდღეობაზე, ქვეყნის გამთლიანებაზე, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე და სხვა. ნაცთა განცხადებები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს „ოცნებას" დაენგრიოს ქვეყანა და არა ნაცებს. თითქოს 9 წლის მანძილზე „ოცნებას" ეპყრა ხელით ქვეყნის მმართველობის საჭე.

ნაციონალური საპარლამენტო ოპოზიცია სულაც არ ტოვებს დამარცხებული გუნდის შთაბეჭდილებას, პირიქით — თითქოს 1 ოქტომბერი მხოლოდ ეპიზოდური მოვლენა იყო და მალე გაივლის. ნაციონალები ისე იქცევიან, როგორც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის დამარცხებული ხელისუფლება, თუმცა მათ შორის უდიდესი განსხვავებაა. ევროპელებს აქვთ ამის საფუძველი, ვინაიდან ხელისუფლებაში მათ მიერ დაშვებული შეცდომები მინიმალურია.

ნაცების მიერ ჩადენილი დანაშაული უამრავია, თანაც სისხლის სამართლისთვის გადასაცემი. და ვიდრე ეს არ მოხდება, ნაცთა მხრიდან ადგილი ექნება პერმანენტულ თავხედობას.

ბოროტად მოაზროვნეებს, მითუმეტეს ბოროტი საქმეების მკეთებლებს, შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავს გაუტოლებენ არჩევნებში დამარცხებულ ევროპულ პარტიას. აკი უტოლებენ კიდევაც — ნახეთ რა დემოკრატიულად შევეგუეთ დამარცხებას და ძალაუფლების გადაცემასო — გაჰყვირიან ისინი და არა მარტო ისინი, არამედ მათი გულშემატკივარი ევრო-ატლანტიკური სივრცე.

უმცირესობასთან ივანიშვილის შეხვედრის დროს ნაცთა წარმომადგენელმა ბარამიძემ დაიწუნა „ოცნების" პროგრამა — მასში „ოკუპაციაზე" არაფერია ნათქვამი, სიტყვა „ოკუპაციაც" არსად წერიაო.

სიტყვით გამოსული სხვა ნაცებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ბარამიძეს. დემაგოგიაც ამას ჰქვია, დახვეწილი, შეურაცხმყოფელი, თავხედური. 9 წლის განმავლობაში ერთხელაც რომ გახსენებოდათ სამშობლო, იმ გამოუსწორებელ დანაშაულობებს არ ჩაიდენდნენ, რაც ჩაიდინეს. ერთ-ერთი 2008 წლის სამხედრო ავანტიურაა, რომელმაც გააჩინა სიტყვა „ოკუპაცია".

ამ სიტყვის ევროპელთა მხრიდან გამეორებისთვის მილიონობით დოლარი დაიხარჯა ისე, როგორც სხვადასხვა სახის გამოკითხვებში საქართველოს „წარმატებების" წარმოჩინება — გარეთ, რომ მტერს უბრმავებდა თვალს, შინ — მოყვარეს.

ამას წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალის" კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში, ცხინვალის ომის მონაწილე გენერალმა ბორისოვმა ხაზგასმით აღნიშნა ის დანაშაულობები, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა ჩაიდინეს. აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიატოვა ფრონტზე დაღუპული მეომრები — აგვისტოს მზისგულზე მიმოფანტული. ხრწნადაწყებული გვამები რუსის ჯარისა და საქართველოს საპატრიარქოს ძალისხმევით გამოიტანეს ბრძოლის ველიდან. ამ ოპერაციაში რატომღაც არსად ჩანდნენ ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენლები.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ არ ყოფილიყო ცხინვალზე შეტევა, არ იქნებოდა „ოკუპაცია". რუსეთი დიდხანს ოცნებობდა, დაეპყრო საქართველოო, ამბობენ ნაცები. გულში ვის რა განზრახვა აქვს, ერთია, ცხოვრებაში განხორციელება — სხვა. რუსეთი სუპერსახელმწიფოა, ისე, როგორც აშშ-ი, თუმცა დაპყრობასთან დაკავშირებით მათ სხვადასხვა ტაქტიკა აქვთ შერჩეული — შედეგი ერთია.

და მიუხედავად ამისა, ის, რაც რუსეთმა გააკეთა 1991 წელს, ფასდაუდებელია. სწორედ რუსეთმა დაშალა საბჭოთა კავშირი და რომ არა ის, სხვა ძრას ვერ უზამდა უზარმაზარ იმპერიას. საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთს ხელში შერჩა განადგურებული მრეწველობა და ეკონომიკა. დაიშალა საბჭოური სამრეწველო ინტეგრაცია, მთელი რიგი ქარხნები რუსეთის საზღვრებს მიღმა დარჩა. ახალი ქარხნების მშენებლობას დრო დასჭირდა.

და, მიუხედავად ამისა, რუსეთს არც ერთი ომი არ უწარმოებია ე.წ. ახლო საზღვარგარეთ. სააკაშვილმა გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი. დამარცხებულ საქართველოს რუსეთმა სეპარატისტულ რესპუბლიკებთან მოლაპარაკება შესთავაზა — მათი სტატუსის განსაზღვრის მიზნით. სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, თითქოს გამარჯვებული ყოფილიყვნენ. ქართულ უარს მოჰყვა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

**დარწმუნებული ვარ, ამ საბედისწერო უარში „სტრატეგიული პარტნიორიც" ერია. მისი წარსული მოქმედება მათქმევინებს ამას. 1956 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა იაპონიისთვის კურილის კუნძულებიდან ორის დაბრუნება, აშშ-ს ზეწოლით, იაპონიამ — ორი არა, ყველაო. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. შეიცვალა პოლიტიკა. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება სხვაგვარად იხილავს კუნძულების დაბრუნების საკითხს, ანუ ტერიტორიული ცვლილება არ უნდა მოხდეს.**

არცთუ დიდი ხნის წინათ მოლდოვის პრეზიდენტმა ვორონინმა მიიღო რუსეთის (კოზაკისძ გეგმა, რომლის მიხედვით, დნესტრისპირეთი, როგორც ფართო ავტონომიის სუბიექტი, უნდა შესულიყო მოლდოვის შემადგენლობაში. დაინიშნა საზეიმო ცერემონიალიც, რომელიც პუტინის თანდასწრებით უნდა გამართულიყო. სამწუხაროდ, ერთი დღით ადრე, აშშ-ა უარი ათქმევინა ვორონინს ამ გადაწყვეტილებაზე.

# რას ელის ხალხი ახალი მთავრობისგან?



დღეს აღარც ვორონინია და აღარც მოლდოვაში შემავალი დნესტრისპირეთი. ნახევარი მოლდოვა რუმინული პასპორტით დადის. მოლდოვას პრეზიდენტი ტიმოვტი ამაჟად აცხადებს, რომ რუმინელია და ხალხს რუმინეთთან შეერთებას ჰპირდება.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი დასავლელთა ორმაგი სტანდარტის შესახებ — გახსოვთ, ალბათ, რა ხმაური იყო ატეხილი რუსეთის მიერ აფხაზებისა და ოსებისთვის რუსული პასპორტების გაცემის თაობაზე, რაც უწინარესად, საქართველოს ორი წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული უხეში შეცდომის ბრალი უფრო იყო, ვიდრე რუსეთის მზაკვრობა.

შევარდნაძის ხელისუფლებამ ომში დამარცხების შემდეგ დსთ-ს მიაღებინა აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით აფხაზეთი ფართომასშტაბიან ბლოკადაში აღმოჩნდა. აფხაზეთში მაცხოვრებლები ყველაფერთან ერთად „ტომარაში" აღმოჩნდნენ. პასპორტის უქონლობის გამო მათ აფხაზეთიდან გასვლაც არ შეეძლოთ. მაშინ მოსკოვში არსებულმა საკონსულო სამსახურმა, ჩემი, როგორც საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, პასპორტები გასცა მოსკოვში მცხოვრებ აფხაზეთის მაცხოვრებლებზე. ანალოგიური ნაბიჯი გადავდგით სამხრეთ-ოსეთში მცხოვრებთა მიმართაც, რაც საქართველოს ხელისუფლებამ „ღალატად" ჩათვალა.

**დასავლეთი, რომელიც სისტემატურად გაჰყვიროდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის რუსეთის პასპორტის გაცემაზე, ხმას არ იღებს რუმინეთის მიერ მოლდოვაში მოლდოველებისთვის რუმინული პასპორტის მასობრივად გაცემის მაგალითებზე.**

რამდენი უმსგავსი რამ მოხდა 1992 წლის ომის შემდგომი პერიოდიდან 2008 წლის ომამდე, რომლებმაც მიგვიყვანეს სიტყვა „ოკუპაციამდე"? — ეკონომიკური ბლოკადა, 1995 წლის კონსტიტუციაში ავტონომიების უგულებელყოფა, გალის მარულა, გელაევის რაზმის აფხაზებისთვის მისევა და სხვა მრავალი.

**ქართული მხარე მუდამ უარყოფდა არძინბას შემოთავაზებას კონფედერაციის თაობაზე — შედეგი? — აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა და მთელ მსოფლიოში ქართველ „დიპლომატთა" სირბილი, რომ ხელი შეუშალონ განდეგილთა დამოუკიდებლობის აღიარებას.**

**წინა ხელისუფლებამ ამ საქმეში — ფუჭსა და გაუგებარში, დიდი ფული ფლანგა. ახალი ხელისუფლების განცხადებით, გაგრძელდება ეს „საშური" საქმე. თან დაიწყება წასულთა შემორიგების პროცესი. არადა, თბილისს არავის შემოსარიგებლად საქმე არ ექნებოდა, რომ 1992-2008 წლებში ომი არ ეწარმოებინა.**

ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ მზად არის აფხაზებთან და ოსებთან დიალოგზე. რუსეთთანაც მზად არის, თუმცა კატეგორიულად აცხადებს, რომ დიპლომატიურ ურთიერთობებს არ აღადგენს, ვიდრე სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოები იქნება. მე პირადად, უახლოეს წლებში ვერ ვხედავ საელჩოების დახურვის პერსპექტივას. ფართომასშტაბიან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს დიპლომატიური ურთიერთობები ესაჭიროება.

არც ის არის გამოსავალი, რასაც ახალი მინისტრები ფანჯიკიძე და ზაქარეიშვილი აცხადებენ. პირველი ამბობს, რომ უნდა გაღრმავდეს ევროატლანტიკურ სივრცესთან ურთიერთობა, უფრო აქტიური უნდა გახდეს სტრატეგიულ პარტნიორთან კავშირები, განმტკიცდეს მეზობლებთან - სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან ურთიერთობები, რუსეთთან კი საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით მოხდეს მოლაპარაკება.

„შესაშური პროგრამაა", განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში. მესამე მხარის ჩარევით მოლაპარაკება თარჯიმნის მეშვეობით სიყვარულის ახსნას წააგავს. ეს დაახლოებით ისაა, რაც ჩხიკვიშვილის საქართველოში ელჩად ყოფნის დროს იყო. რუსეთის ელჩთან შეხვედრის მსურველმა ქართველმა „პოლიტიკოსმა" მაისაშვილმა საუბარი ქართულის ან რუსულის ნაცვლად ინგლისურად წარმართა. რა გაეწყობა, ზოგიერთ „პოლიტიკოსს" უყვარს მეტიჩრობა.

უფრო შორს გამიზნული იყო ზაქარეიშვილის ნათქვამი — აფხაზები უნდა დავარწმუნოთ, რომ რუსეთთან ყოფნას საქართველოსთან ყოფნა სჯობსო. საუკუნენახევარზე მეტია, აფხაზები ვერ დარწმუნდნენ საქართველოს უპირატესობაში, თუმცა ერთხელ იყო, როდესაც ოციანი წლების აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებამ ნესტორ ლაკობას და სხვათა ძალისხმევით რესპუბლიკას, საქართველოს ავტონომიად ყოფნა ამჯობინეს.

**მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, კრემლშიც სხვები იყვნენ. დღეს სხვა დროა — თანაც სააკაშვილმა ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია, მითუმეტეს ევროპასა და მსოფლიოში სეპარატიზმის განახლებული გამოღვიძების ფონზე.**

ა.წ. სექტემბერში მკვეთრად გამწვავდა ნაციონალისტური განწყობა ბევრ ქვეყანაში, რასაც ხელი შეუწყო სოციალური უზრუნველყოფის გაუარესებამ. საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა, როგორც ხარზე წითელმა ნაჭერმა ისე იმოქმედა ისეთი ქვეყნების მოსახლეობაზე, როგორებიცაა ბელგია, ესპანეთი, კანადა, შოტლანდია. ამ ქვეყნებში კარგა ხანია, ისედაც არსებობდა სეპარატისტული განწყობა.

სექტემბრის დასაწყისში კანადის ფრანგულენოვან პროვინცია კვებეკში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ნაციონალისტურმა პარტიამ. მისი მთავარი მიზანია ამ პროვინციის კანადიდან გამოყოფა. ნაცონალისტებმა ორჯერ — 1980, 1995 წლებში ხელისუფლებაში ყოფნის დროს დააყენეს კანადიდან გამოყოფის საკითხი. ეს პარტია არ დაიზარებს და საკითხს კვლავ გაიტანს რეფერენდუმზე. ექსპერტების მიხედვით, კვებეკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებს გამოყოფის იდეას.

სექტემბერს ესპანეთის პროვინცია კატალონიაში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები ესპანეთიდან გამოყოფის თაობაზე. აქციაში მილიონნახევარი ადამიანი მონაწილეობდა. აქციის მთავარი მიზანი იყო კატალონიის პრემიერ-მინისტრისთვის მხარის დაჭერა, რომელიც მადრიდიდან ითხოვს კატალონიის ფინანსთა მინისტრის თანამდებობის შემოღებას, რომელიც თვით განსაზღვრავს, რა თანხა უნდა გადაურიცხოს კატალონიამ ცენტრალურ ხელისუფლებას. მადრიდის გაჯიქებამ ერთობ არასასურველი შედეგი გამოიწვია — რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდება 2012 წლის 25 ნოემბერს.

სექტემბერი მასობრივი გამოსვლებით აღინიშნა შოტლანდიაში, კერძოდ ედინბურგში. შოტლანდიის სათავეში ნაციონალისტები არიან და ყველაფერს ილონებენ შოტლანდიის ინგლისიდან გამოყოფისათვის. ოფიციალური ლონდონი თანახმაა 2014 წელს შოტლანდიაში ჩატარდეს რეფერენდუმი.

ერთობ დაძაბული ვითარებაა ბელგიაში, სადაც ფლამანდია ითხოვს ბელგიიდან გამოყოფას. აღნიშნული მაგალითები აფხაზებმაც და სამხედრო ოსეთის მოსახლეობამაც კარგად იცის. მათ ეს პრობლემა აღარ აღელვებთ. ისინი დამოუკიდებლები არიან და ამ სტატუსს ძნელად თუ გაცვლიან, თუნდაც ფართო ავტონომიაზე. სასწაულები იშვიათად ხდება. ვისურვებდი, რომ ასეთი აქაც მოხდეს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ◉ ინფორმაცია

### სამეგრელოს პროკურატურის თანამშრომლები ახალ ხელმძღვანელობას უპირისპირდებიან

**სამეგრელოს საოლქო პროკურატურის თანამშრომლები ახალ ხელმძღვანელობას უპირისპირდებიან და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებების დაწერის მოთხოვნას აპროტესტებენ.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე სამეგრელოს რაიონის ოლქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა რომეო საჯაიამ განაცხადა, სამსახურის დატოვების მოთხოვნა პოლიტიკურადაა მოტივირებული. „მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც წამოგვიყენა ულტიმატუმი, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები დავწეროთ. მოტივი არის ერთადერთი — პოლიტიკური, ვინაიდან კადრების დაკომპლექტება და რეკომენდაციის გაწევა ზუგდიდის „ქართული ოცნების" მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება. ეს არ არის საკადრო ცვლილებები, ვინაიდან პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის ფარგლებში არ ჯდება. უფრო მეტიც, მინდა გითხრათ, რომ ეს ადმინისტრაციულ პოლიტიკური ძალაუფლების დემონსტრირების კლასიკური მაგალითია, — აღნიშნა საჯაიამ.**

ინტერპრესი

წინ, საქართველო!

# არის ელიტა!



**ლისაბონში გრძელდება 17-წლამდელ მორაგბეთა შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 4 გუნდი საგაისოდ ელიტაში მოსახვედრად ჩაება. საგზურების მაძიებელთა შორის საქართველოს ნაკრებს მასპინძლებთან ერთად ფავორიტად მიიჩნევდნენ. მართლაც, ჩვენმა ბიჭებმა გულშემატკივართა იმედები გაამართლეს: პირველ ტურში გერმანიას დიდი ანგარიშით სძლიეს — 50:13. ტრადიციას არც მეორე ტურში უღალატეს და ბელგიის ნაკრები დაჯაბნეს — 55:6, მოაგროვეს 10 ქულა და მომავალ წელს უმაღლეს ეშელონში ინგლისელ, ფრანგ, ირლანდიელ, უელსელ, შოტლანდიელ და იტალიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან პორტუგალიელებთან ერთად. პირენეელებმა მეორე ტურში ალემანებს აჯობეს — 34:3.**

**საქართველოს ნაკრებმა ბელგიელების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:** იოსებ კიკვაძე, დევი დევსურაშვილი, სანდრო ილურიძე, თემურ ირემაძე, ბადრი ლიპარტელიანი, იოსებ ტუკვაძე, ზაზა ხარებავა, ბადრი ალხაზაშვილი, ბექა კაკაბაძე, როლანდ კვაჭაძე, გუგა ხანთაძე, დავით პაპავაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, გიორგი მღებრიშვილი, გიორგი თორაძე, დავით ფხაკაძე, გიორგი როყვა, ბექა გორგაძე, დავით გელიტაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, ირაკლი სვანაძე.

**ხვალ ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** ბელგია-გერმანია, საქართველო-პორტუგალია.

**ლექსო ცინცაძე**



ჭიდაობა

# სალაძემ გლდანში ამიერკავკასია გააერთიანა

**1996-1998 წლებში დაბადებულმა 250-ზე მეტმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ მოიყარა თავი გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონის — მიხეილ სალაძის სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართა. საპრიზო ადგილებისთვის სომხეთისა და აზერბაიჯანის 45 წარმომადგენელიც იბრძოდა. შეჯიბრების მიზანი იყო იმ ახალგაზრდების წარმოჩენა, რომლებსაც გაისად მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე მოუწევთ თავიანთი ქვეყნების სპორტული ღირსების დაცვა.** ასპარეზობამ ამ თვალსაზრისითაც გაამართლა იმედები. ქომაგები თითოეული მედლისთვის უშეღავათო პაექრობების მოწმენი გახდნენ. თავად მიხეილ სალაძემ თავისი სახელობის თასი 100 კილოში გამარჯვებულ ზვიად პატარიძეს (ქუთაისი) გადასცა. დანარჩენ წონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ტიგრან მინასიანი (სომხეთი, 42 კგძ, არარატ მანუჩარიანი (სომხეთი, 46ძ, გიორგი კურტანიძე (სართიჭალა, 50ძ, ნორაირ ბაბაიანი (სომხეთი, 54ძ, სულიკო ვახტანგაძე (სამტრედია, 58ძ, გიორგი მელია (სამტრედია, 63ძ, რამაზ კვეტენაძე (ქუთაისი, 69ძ, ნუკრი შავაძე (ოზურგეთი, 76ძ გიგა ქოქოლაძე (ბათუმი, 85ძ.

**ლაშა დიდია**



ხედვა

# რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?

**ფრიდონ ინჯია იმ მცირერიცხოვან ბიზნესმენთა შორისაა, ვინც ქართული ფეხბურთის განვითარებაში საკუთარ ფულს ხარჯავს. ის უკვე 6 წელია, რაც მშობლიური რაიონის საფეხბურთო კლუბ "მერანს" ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე გუნდმა თვალშისაცემი პროგრესი განიცადა, ჯერ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალს უწია, შემდეგ კი უმაღლეს ლიგაში საუკეთესოთა მარაქაში დაიმკვიდრა ადგილი. ამჟამად, „მერანი" სტაბილურად ასპარეზობს, რაშიც უდიდესი წვლილი ფრიდონ ინჯიას მიუძღვის. ვთქვათ ისიც, რომ უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების მქონე სამეგრელოს რეგიონში „მერანი" ერთადერთი კლუბია, რომელსაც კერძო მეპატრონე ჰყავს. არადა, ძლიერი რეგიონის გარეშე ჩვენი ფეხბურთის წინსვლა ხომ უტოპიური ოცნებაა. უჭირდა თუ არა მას საქართველოში ფეხბურთის „კეთება" და როგორია ფეხბურთის აღორძინების მისეული ხედვა, ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიდონ ინჯია გვესაუბრება:**

ქართველი კაცისათვის ფეხბურთი მეტია, ვიდრე უბრალოდ სპორტი. ჩვენში გენეტიკურადაა გამჯდარი ფეხბურთისადმი სიყვარული. თამამად შეიძლება ითქვას, იგი თითოეული ჩვენგანის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ჩვენ საფეხბურთო ქვეყანა ვართ. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ დაარსებიდან სპორტის ნომერ პირველმა სახეობამ არნახული პოპულარობა მოიპოვა. კავკასიის ამ ულამაზესმა მხარემ ბევრი უმაღლესი დონის ვარსკვლავი აღუზარდა მსოფლიოს: კახი კალაძე, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ძმები არველაძეები და სხვ. აი, ვის მაგალითზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობები.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის განვითარების ჩემეულ ხედვას, რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს შევეხები:

ქართული ფეხბურთის „გონს მოყვანისათვის" 3-5 წელი მაინც იქნება აუცილებელი. მანამ, სანამ პროფესიულ დონეს არ მიაღწევს, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს გუნდებს. თანხები ისეთი მექანიზმებით უნდა განაწილდეს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები დაინტერესებულები იყვნენ შედეგის მიღწევით. მომავალში საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს სპორტის განვითარების პროგრამა. დღეს ჩვენ გვჭირდება: სამართლიანობა, თავისუფლება, სწორი მიდგომა და ფინანსები. ბიზნესმენს ფეხბურთში ფულის ჩადების სურვილი კი არ უნდა გაუქრეს, არამედ პირიქით, უნდა დაინტერესდეს. როგორ? შეღავათები საგადასახადო კოდექსში უნდა ჩაიდოს. თითოეული გუნდის მესაკუთრის მოსაზრებები უნდა განვიხილოთ, რათა საუკეთესო ვარიანტზე შევჯერდეთ. ვფიქრობ, წარმატებული ქვეყნების მაგალითის გადმოტანა და ჩვენს ადათ-წესთან შერწყმა დიდად წასწევს წინ ქართულ ფეხბურთს. შეიძლება ევროპის რამდენიმე ქვეყნის ჩამოთვლა, რომლის მოსახლეობა დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც საქართველოსი. შვეიცარია, ხორვატეთი, დანია, კვიპროსი, მოლდოვა, ისრაელი... ეს პატარა, მაგრამ წარმატებული საფეხბურთო ქვეყნების არასრული ჩამონათვალია.

**— პრიორიტეტულად რომელ საკითხებს მიიჩნევთ?**

— უპირველესად, უნდა აღდგეს პროფლიგა (პროფესიული ფეხბურთის ლიგაძ, რომელიც ჩაატარებს ეროვნული ჩემპიონატის, უმაღლესი და პირველი ლიგის თამაშებს. ვფიქრობ, რომ პროფესიონალების ჩართვა ამ საკითხში უმნიშვნელოვანესია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა აირჩეს ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების ხელმძღვანელთა მიერ. იმის გამო, რომ კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა ჯერაც სახელმწიფოს წყალობაზეა, ჩემი აზრით, ყოველგვარი შეთანხმებისა და გარიგების თავიდან ასაცილებლად, ხმათა გადანაწილება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: კერძო გუნდების რაოდენობა ერთით მეტი უნდა იყოს საბიუჯეტო გუნდების რაოდენობაზე (შესაბამისი კომპეტენციის პირებს, დაინტერესების შემთხვევაში, შეგვიძლია დაწვრილებით განვუმარტოთძ. ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება.ამ თემასთან დაკავშირებით ამა წლის აგვისტოში აქტიური ლონისძიებები გატარდა, საქმე, ფაქტობრივად, დარეგისტრირებამდე იყო მისული, ჩემი ინიციატივით პრემიერლიგაც ეწოდა, მაგრამ ცნობილი ანდაზისა არ იყოს — „ხალხი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო", ისე დაგვემართა. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა შეკრიბა უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტები და უთხრა: თუ ლიგის შექმნას მხარს დაუჭერთ, დაფინანსება შეგიწყდებათო. იქვე შევეპასუხე, რამაც მისი აღელვება გამოიწვია. ბევრმა, ჩემდა გასაოცრად, მხარი მას დაუჭირა, არადა, თავიდან ყველა პროფლიგის მომხრე იყო. საუბედუროდ, ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ერთ კაცს სურდა და არა, როგორც ფეხბურთს სჭირდებოდა. მათი დევიზი იყო: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო". გილაურის სწორედ ასეთმა მიდგომამ, არასახელმწიფოებრივმა თუ პირადმა ინტერესებმა ერთი წლით გადადო პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენა. მაგრამ ეს თემა ხელახლა უნდა წამოიწიოს.



**— სხვა საზრუნავზე რას გვეტყოდით?**

— პრობლემატურია სტადიონების საკითხიც. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით შეიძლება რაღაცეები ნამდვილად გაკეთდა, თუმცა პრიორიტეტები არასწორად იყო შერჩეული. ფეხბურთის ფედერაციისათვის რომელი უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, სტადიონების აშენება იმ რეგიონებში, სადაც ფეხბურთი ნაკლებად პოპულარულია თუ მარტვილში, რომელიც უმაღლეს ლიგაშია?! რა დააშავეს საფეხბურთო ტრადიციებით განთქმულმა ქალაქებმა: სამტრედიამ, სენაკმა, ხობმა?.. აქ უფრო არის საჭირო მსგავსი ნაბიჯების გადადგმა. განა მარტვილის „სალხინოში" არ აღიზარდნენ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელები: თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრალური მცველი, გუნდის კაპიტანი მურთაზ ხურცილავა, ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი, საკავშირო ჩემპიონატის მრავალგზის ბომბარდირი დევიზ დარჯანია, თბილისის „დინამოში", ლანჩხუთის „გურიასა" და უცხოეთის წამყვან გუნდებში ნათამაშევი ბადრი დანელია. ასევე საქვეყნოდ ცნობილია მარტვილელი ფეხბურთელები: დაზმირ ოდიშარია, გოგა გახოკიძე, გია გრიგალავა... ხედავთ, რამხელა პოტენციალია ყველასგან მივიწყებულ მარტვილის რაიონში?!

იმისათვის, რომ საბოლოოდ მოგვარდეს მოედნების საკითხი, უნდა აშენდეს ქარხანა სახელმწიფოს მიერ, ან კიდევ მოიძებნოს ინვესტორი, რომელიც გამოუშვებს ხელოვნურსაფარიან და ბუნებრივსაფარიან მოედნებს. დაგებული მოედნების უმრავლესობა თურქეთიდან შემოაქვთ და საკმაოდ ძვირი, კვადრატული მეტრი 20 ევრო ჯდება მაშინ, როდესაც საქართველოში ქარხნის არსებობის შემთხვევაში მაქსიმუმ 7-8 ევრო ეღირება. ის არამარტო ადგილობრივ სეგმენტზე იქნება გათვლილი, არამედ მეზობელ ქვეყნებზეც.ეს თავისთავად გააჩენს ათეულობით სამუშაო ადგილს. ამით მოიგებს მოსახლეობა, ქვეყანა და რაიონიც.

ამჟამად, საქართველოში ორადორი გუნდი მეგულება, რომელსაც კერძო მფლობელი ჰყავს. გავიხსენოთ როგორი პრაქტიკა იყო: სახელმწიფო აუშენებდა სტადიონს, მოუწესრიგებდა ინფრასტრუქტურას და სიმბოლურ ფასში გადასცემდა ინვესტორს. მაშინ, როდესაც გურამ რუხაძე 12 წელია „ვიტ ჯორჯიას" პატრონობს და ჩვენ კი 6 წელი, როგორ შეუძლია „მერანს", რომლის ბიუჯეტი გორთან შედარებით ბევრად ნაკლებია, „დილას" მოუგოს ან თანაბრად ეთამაშოს? გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამ გუნდს შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბაზარზე არათანაბარი კონკურენციაა. როდესაც ამბობენ, „მერანი" კერძოა და მთავრობა რატომ უნდა დაგეხმაროთო?! ჩემი გორელებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მაინტერესებს: რატომ უნდა აეშენებინა სახელმწიფოს „დილასათვის" სტადიონი?! ან კიდევ: ქუთაისში უეფას სტანდარტების შესაბამისი სტადიონი ააშენეს და „ვისოლს", ფაქტობრივად, უფასოდ გადასცეს.

**— პერსპექტივა როგორ გესახებათ?**

— ისევ და ისევ საფეხბურთო კლუბ მარტვილის „მერანის" ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ გუნდი იჯარით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადავცე ნებისმიერ სამინისტროს, იქნება ეს სოფლის მეურნეობის თუ თავდაცვის სამინისტროები. „მერანი" ჩემთვის ბიზნესი არაა. წლების განმავლობაში ამას ვაკეთებდი მშობლიური რაიონისა და ფეხბურთის სიყვარულის გამო. უამრავი ადამიანია დასაქმებული, ბავშვები ქუჩის ნაცვლად საფეხბურთო მოედნებზე „ბინადრობენ". მარტვილში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია. ეს იმის ფონზე, რომ კაპიკით არც ფედერაცია დამხმარებია და არც ფეხბურთელი გამიყიდია. პირდაპირ ვამბობ: მე არ შემწევს იმის ძალა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მფარველობაში მყოფ გუნდს წინააღმდეგობა გავუწიო. როგორც ამბობენ, ხელფასი 12000-მდე ადის, ჩემთან კი მაქსიმალური 1500 ლარია. ასეთი ხელფასები და დაფინანსება საქართველოში 3-4 კლუბს თუ აქვს. მაშინ რა გამოდის? ჩავატაროთ ოთხგუნდიანი ჩემპიონატი? პრობლემის მოგვარების ორი გზა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ: ყველა გუნდს ეყოლება მეპატრონეები და შეიქმნება თავისუფალი გარემო ან კიდევ იქნება ისე, როგორც ეს წინათ იყო: სამინისტროებს შორის ჩატარდება ჩემპიონატი. ეს მარაზმი უნდა დასრულდეს.

**ესაუბრა**
**ბესიკ გვაზავა**



◉ გამოიცა

# მონოგრაფია აქტუალურ თემაზე



**ახლახან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლმა გამოსცა პროფესორ დემურ ჩომახიძის მონოგრაფია „ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები“. ნაშრომი ეხება ფრიად აქტუალურ საკითხს. ენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირება ჩვენი ქვეყნისათვის სიახლეა. საბჭოთა პერიოდში დარგი ვერტიკალურად ინტეგრირებულ სისტემას წარმოადგენდა, ხოლო მისი მართვა და ენერგეტიკულ პროდუქციაზე ფასების დადგენა ახლანდელისგან სრულიად განსხვავებული იყო.**

ავტორს ლოგიკური თანმიმდევრობით აქვს განხილული ენერგეტიკის რეგულირების არსებული თეორია და პრაქტიკა როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში. გაშუქებულია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა რეგულირების არსი, მიზნები და პრინციპები; მისი გავლენა მაკროეკონომიკურ მახასიათებლებზე; მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის ფაქტორები; ეფექტიანი რეგულირების პრინციპები; პრივატიზაციისა და რეგულირების კავშირურთიერთობა; ტარიფების დადგენის საფუძვლები და ბევრი სხვა.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების აღმოცენებასა და განვითარებას საქართველოში. ჩამოყალიბებულია ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც უკვე მკაფიოდაა გამოკვეთილი დარგის რეგულირების განვლილ პერიოდში, საუბარია ენერგეტიკაში მიღწეულ შედეგებზე საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, მის სამომავლო ამოცანებზე.

ნაშრომი სასარგებლო იქნება ფართო მკითხველისთვის. განსაკუთრებით კარგ სამსახურს გაუწევს იგი ამ პრობლემით დაინტერესებულთ.

**შალვა ნაჭყებია,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

◉ წიგნის თარო

# რასაც აქ ხედავთ, ეს სულაც არ არის ცხოვრება...

**„— ყმაწვილო, უნდა გახსოვდეს, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა. მისი ღრმად გაცნობა მეიგავედ გაქცევს.**

**— მეიგავედ? — გაიოცა ტიტემ. აქამდე არც უფიქრია ამაზე, არა, მან იცოდა იგავის არსი და მნიშვნელობა. მეიგავეთა შესახებაც გაეგო რაღაც. ზოგიერთ იგავსაც იცნობდა, მაგრამ ვერასდროს წარმოედგინა, რომ ოდესმე ისიც მეიგავედ იქცეოდა და ამას ასე იოლად შეძლებდა.**




— ეს სულაც არ არის იოლი, — ტიტეს ფიქრი ამოიცნო მოხუცმა. — პირიქით, ამაზე რთული არაფერია. საკმარისია არასწორად შეიმეცნო ცხოვრების ესა თუ ის მხარე, რომ შენს ნააზრევს ფასი დაეკარგება და წლების შრომაც წყალში ჩაგეყრება.

— მაშ, რა ვქნა? — იკითხა ტიტემ.

— მე გამომყევი! რასაც აქ ხედავ, ეს სულაც არ არის ცხოვრება. ცხოვრება სხვა რამეა...

...ამბობს მწერალი მურად მთვარელიძე თავის ახალ წიგნში „მეიგავე“ და მკითხველი შეჰყავს მთავარი გმირის თავგადასავლებით მდიდარ ცხოვრებაში.

წიგნში საუბარია მამის წარსულისა და შვილის მომავალი ცხოვრების შესახებ. მათ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა იქცევა სწორედ მამა-შვილის მიერ ურთიერთობის ხელახალი აღმოჩენის საწინდრად. მოგზაურობისა და თავგადასავლების შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება ხდის მთავარ გმირს მეიგავედ. სულისშემძვრელი მისტიკური ისტორიები, ადამიანის ადგილის ძიება სამყაროში, წიგნის გმირებს უფლის შეცნობასა და ცხოვრების არსის წვდომაში ეხმარება.

გავიხსენოთ, რა ძველია იგავის წარმოშობის ისტორია. თავად უფალიც ხომ იგავებით ესაუბრება თავის მოწაფეებს!.. დიდი ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი და სიბრძნე სჭირდება იგავის შექმნის ხელოვნებას. გიკვირს კიდეც, უკანასკნელი წლების საქართველოს სულიერების დეფიციტში ისევ რომ ჩნდებიან შემოქმედნი, რომელთაც ჰყოფნით შინაგანი ძალა და შთაგონება იმისათვის, რომ ქვეყნის ცხოვრების რთულ პერიოდში შექმნან ისეთი ღირებულებები და საინტერესო, როგორც ეს შეძლო მწერალმა და ლიტერატურამცოდნემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მურად მთვარელიძემ ახალი წიგნით — „მეიგავე“.

მწერალი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალაქ ხაშურში. არის არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი, მრავალი თაობის აღმზრდელი, დიდბუნებოვანი ადამიანი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული შემოქმედი.

**ლია ჭილაძე**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ორნი

**ძველთაგანვეა ცნობილი, რომ ორი ადამიანის ურთიერთობათა და იმ პროგრამის გამოსახვა, რომლის განსახორციელებლად ისინი შეერთდნენ, მათი დაბადების თარიღთა ციფრების დაჯამებით შეიძლება.**

განსაკუთრებით საინტერესოა ამის ცოდნა მაშინ, როცა თქვენ გაინტერესებთ, თუ რას გიქადის ესა თუ ის შეხვედრა. მაგალითად, ერთი ადამიანი 4.12.1978 წელს დაიბადა, მეორე კი 11.07.1968 წელს. შედეგის მისაღებად საჭიროა მათი დაბადების თარიღების ყველა ციფრის დაჯამება, ვიდრე მარტივ ერთნიშნა რიცხვს არ მიიღებთ. ამ შემთხვევაში ესაა 4+1+2+1+9+7+8+1+1+7+1+9+6+8=65, 6+5=11, **სწორედ ეს „2“ არის ამ ორი პიროვნების ურთიერთობათა გამომსახველი რიცხვი და ყველაფერი, რაც მათ შორის მოხდება, მეტ-ნაკლებად იმ თვისებებს შეიძენს, რომლებიც ამ რიცხვს ახასიათებს.**

უნდა ითქვას, რომ წყვილ რიცხვებში ნაკლები დინამიკაა, ამიტომ ისინი, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი არიან, ხოლო კენტი რიცხვები კი პირიქით, ენერგიისა და აქტივობის მატარებელნი არიან. აღსანიშნავი ისიცაა, რომ **წყვილი რიცხვებით გამოსახული კავშირები უფრო ხანგრძლივია ხოლმე,** თუმცა, ცხადია, ყველა კონკრეტულ შემთხვევას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს.

# სჯობს, ჯერ თარიღები შევკრიბოთ...



**1.** საერთო მიზნის მისაღწევად ადამიანებს ერთობლივად მოქმედებით ერთმანეთის სტიმულირება შეუძლიათ, რომელიმე ერთს მეორის პოტენციალის გამოთავისუფლების უნარი აქვს. მაგრამ გახსოვდეთ: **ერთიანი — ლიდერის რიცხვია, რაც გარკვეულ საფრთხეს შეიცავს, რადგან ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, შესაძლოა, კონფლიქტი.** ცოლქმრულ ცხოვრებაში ამას შეუძლია ნამდვილი საგიჟეთის მოწყობა, რაც გაუთავებელ კინკლაობასა და კამათს მოყვება. ასეთ კავშირში, სამწუხაროდ, ხშირია მხოლოდ ერთი გამარჯვებული...

**2.** ამ პიროვნებებს ერთმანეთთან ყოფნა დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მათ შეუძლიათ მატერიალურად ერთმანეთის ცხოვრება უფრო კომფორტული გახადონ. გამორიცხული არ არის, რომ ისინი სულაც მოგების მომტანი თანამშრომლობისთვის გაერთიანდნენ. მათ შეუძლიათ უბრალოდ იმეგობრონ, საუბრების შედეგად კი მომავალი ფინანსური ყოფის გაუმჯობესების გეგმები შეიმუშაონ. **თუკი ისინი საქმიანი პარტნიორები არიან, სავარაუდოდ, მათი ფირმა წარმატებით იმუშავებს, ხოლო თუ ცოლ-ქმარი არიან, ოჯახი სავსე ექნებათ.** მაგრამ ორიანს ნაკლები ემოციები ახასიათებს, საერთოდაც ეკონომიურობით გამოირჩევა, ხოლო კონფლიქტი უფრო ხშირად ერთ-ერთი პარტნიორის აზრით არაუცილებელ ხარჯს მოყვება. ესაა ცხოვრებისეული ციფრი, რომელსაც ეშინია და არ უყვარს ცვლილებები.

**3.** ესაა კომუნიკაბელობის, მოძრაობისა და გარკვეულწილად თავქარიანობის ციფრი, ამიტომ წყვილს საკმაოდ ბევრი, თუმცა კი არარეგულარული ურთიერთობა ექნება. ისინი მოწყენილები არასდროს იქნებიან, თანაც **სამიანი იდეალური რიცხვია სამეგობრო ურთიერთობებისთვის.** საოჯახო ცხოვრებაში სამიანის ენერგია თავს აარიდებინებს ხშირ უსიამოვნებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახურ სიმყუდროვეს ვერ უზრუნველყოფს: ასეთ სახლში თითქოს მუდამ ორპირი ქარი იქნება, **მეუღლეები ერთმანეთს ბევრ რამეს ძალიან იოლად პირდებიან, მაგრამ დანაპირებს ხშირად არ ასრულებენ, ერთმანეთი მაინცდამაინც არ უყვართ და ღალატიც კი შეუძლიათ.** ამ რიცხვს წმინდა წყლის საქმიან ურთიერთობათა ჭრილშიც კი თუ განვიხილავთ, ისინი, როგორც წესი, ვერ ეწყობა ხოლმე.

**4.** ორი ადამიანის ურთიერთობა, შესაძლოა, ოჯახის შექმნით დაგვირგვინდეს. ოთხიანს ურთიერთობებში სითბო და ცხოვრების სიმშვიდე შეაქვს. მაგრამ მისი ენერგია ნებისმიერ საქმიან პროცესებს დაამუხრუჭებს. **ეს ადამიანები ერთმანეთს ფულის შოვნაში ვერ დაეხმარებიან, სამაგიეროდ, მათ ახალი შთაბეჭდილებების მიღების საშუალება აქვთ.**

**5.** ამ ადამიანებს შორის, სავარაუდოდ, გულწრფელი გრძნობები წარმოიშვება, რასაც ნამდვილი დიდი სიყვარული მოჰყვება. ნებისმიერ დროს ისინი მზად არიან ერთმანეთის გულის გასახარად და გასამხნევებლად, სიამოვნების მისაგვრელად. **განმარტოებით დარჩენილებს მათ ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდებათ, ერთმანეთს ზღაპრულ განცდებს უქმნიან.** ასეთი კავშირი, წესით, ძალიან ნაყოფიერი უნდა იყოს, ოღონდ იმ პირობით, რომ თითოეულის ეგოისტური ემოციები უკანა პლანზე გადაიწევს და უწინარესად პარტნიორზე იფიქრებს. ხუთიანიდან მომდინარე სიყვარულის ენერგია ნებისმიერი მიზნის მიღწევაზე შეიძლება იყოს მიმართული. **თუკი ყველაფერი ქორწილით დაგვირგვინდა, ასეთ წყვილს, ჩვეულებრივ, ბედნიერი შვილები ჰყავთ ხოლმე.**

**6.** ასეთი ადამიანები ერთმანეთის ინტერესების სამსახურში იქნებიან. ექვსიანი, ორიანის დარად, მეტად მომგებიანია საქმიანი პარტნიორობისთვის, **ესაა მიწიერი რიცხვი, რომელიც ხანგრძლივ საქმიან ურთიერთობას უზრუნველყოფს.** საერთოდ, ექვსიანი, ისე, როგორც არც ერთი სხვა რიცხვი, იდეალურია ნებისმიერი ბიზნეს-პროექტისთვის. პირად სფეროში კი ექვსიანი უწინარესად იმაში ვლინდება, რომ **ერთიმეორეს შეგუებულ ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობების გაგრძელება მაშინაც კი, როცა ერთმანეთის მიმართ არავითარი გრძნობა აღარ შერჩათ,** არც საქმეები აქვთ საერთო, თუმცა კი მეგობრული დამოკიდებულება აღარ იქნება.

**7.** შვიდიანის შემთხვევაში ორ ინდივიდს შორის, შესაძლოა, საკმაოდ კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდეს, ზოგჯერ ჰარმონიულიც კი. ჩვეულებრივ, მათ ერთმანეთში თანხმობის მიღწევა არ უჭირთ. მართალია, **შვიდიანს ზოგჯერ დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა ახასიათებს, რის გამო პარტნიორს დიდებული პიროვნება შეიძლება დაავიწყდეს.** მაგრამ შვიდიანისთვის დამახასიათებელ დიპლომატიურობას კონფლიქტის ნეიტრალიზება არ უჭირს. შვიდიანი ასევე კარგია საქმიანი ურთიერთობებისთვის, ასეთ კავშირში მყოფ ადამიანებს შეუძლიათ ფულთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო ერთი მეორეში — კარგი გემოვნების და ზომიერების გრძნობის დახვეწა.

**8**რვიანი ადამიანებს ერთმანეთისკენ იზიდავს, მათ შორის, შესაძლოა, სექსუალური ლტოლვაც კი გაჩნდეს. **ეს რიცხვი ურთიერთობებს არასტანდარტულს, „უცნაურს“ ხდის.** შეერთებულებს მათ ერთმანეთის ცხოვრების მნიშვნელოვნად შეცვლა შეუძლიათ. მაგრამ ასეთ კავშირში ერთ-ერთს ხშირად ჰგონია, რომ პარტნიორი მას იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გრძნობა დიდი ხნის მანძილზე დაფარულია ხოლმე, მაგრამ შინაგანი უკმაყოფილება მაინც მატულობს და რაღაც მომენტში იგი შეიძლება ძნელად განსაჭვრეტი შედეგის მომტან დიდ უსიამოვნებად გადაიქცეს. **თუკი გრძნობთ, რომ პარტნიორი, ვისთანაც „რვიანი“ გამოგივიდათ, თქვენზე ცუდად მოქმედებს, თავი ხელში უნდა აიყვანოთ და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოთ.** ცოლქმრობისთვის რვიანი ცუდი ვარიანტი არ არის, მაგრამ ეჭვიანობამ და წყენამ ურთიერთობებს, შეიძლება, ჩრდილი მიაყენოს.

**9.** ეს კი უფრო ორი ფილოსოფიის კავშირს ჰგავს. ცხრიანი შორსაა მიწიერი საქმეებისგან, მას უფრო მაღალი მატერიები აინტერესებს. ოცნება კომფორტშია კარგი, მაგრამ თუკი ირგვლივ მკაცრი რეალობაა, მაშინ ოცნებასაც ფრთები ეკვეცება. **ცხრიანი საუკეთესო ციფრია ახლო მეგობრული ურთიერთობებისთვის, მაგრამ ასეთი ადამიანების ოჯახური ცხოვრება, როგორც წესი, ყოფითი პრობლემების მსხვერპლი ხდება ხოლმე,** მაგრამ თუკი ვინმე სხვა მათ სირთულეების დაძლევაში დაეხმარება, მაშინ ასეთი კავშირი სავსებით შესაძლებელია.

**თამარ გოგიაშვილი**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ მეორე მსოფლიო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი. ადრე მთლიანად თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი სახის კომუნალური გადასახადისგან. ახლა, ყოველ წელს მიმცირებენ შეღავათებს და დღეს ყოველგვარი გადასახადის დასაფარად მაძლევენ 44 ლარს. სწორად მეძლევა აღნიშნული თანხა?**

**ნოდარ ამისულაშვილი**

**პასუხი:** კანონიდან გამომდინარე, ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური გადასახადების დასაფარად, თვეში 44 ლარი სწორად გეძლევათ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ძალაშია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ და თუ გაუქმებულია, როდიდან?**

**ვახტანგ გიორგაძე**

**პასუხი:** თქვენ კითხვაში მითითებული ბრძანებულება ძალადაკარგულად არის გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით — ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## დღესასწაული

**1 ნოემბერს დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ჰელოუინის დღესასწაულს აღნიშნავენ, რა დროსაც საკარნავალოდ გამოწყობილები მთელ ღამეს ცეკვავენ და მხიარულობენ. უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც მისტიკური რიტუალების საღამო კარნავალად გადაიქცა, რომლის წარმოშობასა და ზოგიერთ საგულისხმო მომენტში გვექნება ლაპარაკი.**

# ჯეკის ფარანი, სუროს ფოთოლი, ვაშლის ქერქი და სხვა

### წინაისტორია

**ჰელოუინის დღესასწაული (ინგლისურად All Hellows Eve – „ყველა წმინდანის საღამო")ორი ათასი წლის წინათ წარმოიშვა. იმ ხანებში კელტების ტომები 1 ნოემბრის ღამეს ახალი წლის დადგომას ზეიმობდნენ. გადმოცემით ამ დღეებში ადამიანების სამყაროში ბოროტი ჯადოსნული არსებები – სიდები მოდიოდნენ.** ასევე ითვლებოდა, რომ გარდაცვლილთა სულები შინ ბრუნდებოდნენ და შესაწირ საჭმელს ითხოვდნენ.

**რი ჰქონდა ამოჭრილი, შიგნით კი სანთელი ენთო, ფანჯარაში გამოდგამდნენ ხოლმე ბოროტ სულთა დასაფრთხობად. მას „ჯეკის ფარანს" (Jask-o-latternd უწოდებენ.** ლეგენდით, მჭედელმა ჯეკმა ეშმას მოტყუება ორჯერ შეძლო. პირველად იგი მასთან ერთად სვამდა და ხურდა ფულად გადაქცევა შესთავაზა, რის შემდეგ იგი ჯიბეში შეინახა. მეორე ჯერზე კი ჯეკმა ეშმაკი ხილის მოსაწყვეტად ხეზე ასვლაზე დაიყოლია, შემდეგ კი ხის ტანზე ჯვარი დახატა, რის გამო მან ჩამოსვლა ველარ შეძლო. გარდაცვალების შემდეგ, იმის გამო, რომ ხშირად ცოდავდა, ჯერ სამოთხეში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ ეშმას მოტყუებისთვის ჯოჯოხეთიც „აცდა". ჯეკს მხოლოდ ნახშირის მბჟუტავი ნაკვერჩხალი ერგო, რომელიც უკიდეგანო ყინულიან სიბნელეში გზას უნათებდა – სწორედ ეს ნაკვერჩხალი მოათავსა მან პატარა გოგრაში.



მე-19 საუკუნის მიწურულს ირლანდიელებმა ჰელოუინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიტანეს, სადაც მაგიურობის პათოსი საღამოს ათასნაირ თამაშებიანმა დროსტარებამ და ქეიფმა შეცვალა. მოკლედ, მისტიკურიდან ჰელოუინი საქალაქო დღესასწაულად გადაიქცა, მერე კი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

### დღესასწაულის ატრიბუტები

**გულგამოცლილ გოგრა-ფარანს, რომელსაც თვალები და პი-**



### ჰაიზინგი

**ესაა სახალისო სამოსელის ჩაცმა: თავდაპირველად ბავშვები ნაჭრის ნიღბებს იკეთებდნენ, მერე კარდაკარ დადიოდნენ და პატრონებს ართობდნენ, რაშიც გამასპინძლებას თხოვდნენ.** ახლა ამას Trik or trak (საზიზღრობა ან საჩუქარიძ ჰქვია: ურჩხულების ან მულტფილმების გმირების ნიღბიანი ბავშვები მეზობლების კარებს შეძახილებით ადგებიან, რაც „გაგვიმასპინძლდით ან ინანებთ" ნიშნავს. ის, ვინც პატარა „დემონებისთვის" მცირედ ძლვენს, უფრო ხშირად ნუგბარს დაინანებს, აუცილებლად დაისჯება – ვთქვათ, კარის სახელურს მურით მოუსვრიან.

### სამოსელი

**ადრე მიაჩნდათ, რომ „ავ სულთა" დღეს სამოსელი შიშის მომგვრელი უნდა იყოს, რათა ავმა სულებმა უცოდველი ცოცხალი კაცის სული ვერ გაიტაცონ.** მაგრამ მას შემდგომ, რაც ჰელოუინი კარნავალად გადაიქცა, სამოსელს მაგიური არსი დაეკარგა: ახლა ქუჩებში ათასნაირად გამოწყობილ დიდსა თუ პატარას ნახავთ.

### სადღესასწაულო სუფრა

**ჰელოუინი ვაშლის მოსავლის აღების დროს ემთხვევა, ამიტომაც მრავალი ნუგბარი სწორედ ვაშლს უკავშირდება.** ამ დღეს ასევე პოპულარულია სიმინდის ან გოგრის ფორმის კანფეტები. ირლანდიაში ამ დღისთვის საგანგებო პურს – ბარმბრეკს აცხობენ, რომელშიც სათამაშო ბეჭდებს დებენ – ის, ვისაც ის შეხვდება, მალე დაოჯახდება.

### მარჩიელობა და თამაშები

**შოტლანდიაში ქალიშვილები საკინძეში ფოთოლს მალავენ: „სუროვ, სუროვ, მიყვარხარ, გულზე გინახავ. ვინც პირველ ხმას გამოცემს, ჩემი ქმარიც ის გახდება".**

**ასევე პოპულარულია ვაშლებით მარჩიელობა: რაც უფრო გრძლად მოიჭრება ვაშლის კანი, მით უფრო დიდ ხანს იცოცხლებს კაცი.**

ჰელოუინის დროს ასევე „ვაშლებით ბრძოლებს" მართავენ: ნაყოფებს წყალში აგდებენ, ხელებს უკან იკრავენ და ნაყოფს პირით იღებენ.

ამ სახუმარო დღესასწაულის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ დიდებიც და პატარებიც ცდილობენ უფრო მეტად უფროსები წარმოჩინდნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან.

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ყურშინწავ—ი გაზეთებიდან



### მინსკში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით იმუქრებიან

როგორც ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ მაკეიმ განაცხადა, რესპუბლიკამ, მომავალში, შესაძლოა, „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ საკუთარ პოზიციას გადახედოს. ეს გადაწყვეტილება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იქნება მიღებული. „ეს არის რუსეთის ინტერესები და თანაც არა ეროვნული, არამედ პოლიტიკური ხასიათისა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს რუსეთის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებთან", – მიაჩნია პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს.

**„რეზონანსი"**

### რას ჰყვება გოჩა აფრასიძე ეცერის სასტიკ სპეცოპერაციაზე

„მამაჩემი ხელებაწეული გამოვიდა აივანზე და სთხოვდა, ცეცხლი შეეწყვიტათ, სახლში ქალები და ბავშვები არიანო. სწორედ ამ მომენტში მოხვდა სნაიპერის ნასროლი ტყვია... თავი ამიწიეს და მაყურებინეს, როგორ ხვრეტდნენ ომებს – ნიღბიანმა სპეცრაზმელმა მას მთელი მჭიდი დააცხრილა გულმკერდის არეში, მთლად დაფლითეს... ჩვენ საკანში ერთი სვანი ბიჭი ზის და ის არის მოწმე, როგორ მოითხოვა ბარამიძემ „კუბდარი".

**„ყველა სიახლე"**

### „ნაციონალებსა და რესპუბლიკელებს შორის დიდი გარიგება მოხდა"

– თვლის ირინა სარიშვილი, – ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ წავა ივანიშვილი, ვინ რჩება ხელისუფლებაში?! რა თქმა უნდა, რჩებიან რესპუბლიკელები. მათთვის არასასურველი მინისტრები გაივლიან იმ საცერს, რომელსაც შექმნიან პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მეუღლე და კიდევ რამდენიმე მათი ერთგული წარმომადგენელი, როგორც პარლამენტში, ასევე ხელისუფლებაში. ასევე მათ არ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა ნაციონალებთან სტრატეგიულ საკითხებში და ეს ენა უკვე გამოძებნეს. მიღწეულია შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკასთან არავითარი პარტნიორობა არ შეიცვლება.

**„ახალი თაობა"**

## გალასი

**თბილისიდან ქუთაისში ჩასულს, ბიჭო დათო,**
**თუკი გკითხავს ქუთაისი – აქ რა გინდოდათო,**
**ეტყვი: მიშას იდეაა, თუმცა უვარგისი...**
**გაგიგებს და მიყუჩდება ჩემი ქუთაისი...**

რამაზ ილმელი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**სულის კივილი: „საყვარელო ქალებო, თავი დაანებეთ გახდომას, თორემ ფიცარზე წოლა სამარეშიც გვეყოფა!"**

* * *

**– როგორ არის შენი სიმამრი?**
**– ნუ მკითხავ...**
**– რაო, დაავადდა?**
**– უარესი.**
**– მოკვდა?**
**– უარესი. სქესი შეიცვალა და ახლა ორი სიდედრი მყავს.**



* * *

**– მიატოვე მოწევა! – უკივის ცოლი ქმარს, – თუ იცი, რას ვიყიდდით იმ ფულით, რასაც სიგარეტისთვის ხარჯავ?**

**– ვიცი, – უხალისოდ უპასუხებს ქმარი, – შენთვის ქურქს, ჩემთვის კი – არაფერს.**

* * *

**– ვაჰ, რა მაგარი კომპიუტერი ვნახე ბაბუაჩემთან. წარმოიდგინე, პრინტერიც და კლავიატურაც ერთ კორპუსში აქვს.**
**– სულელო, ეს საბეჭდი მანქანაა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24